სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 25 ოქტომბერი 2005 №245 (2568) ფასი 50 თეთრი

რომელი ერთი...

ოქროს ბურთის ისტორია: ახალი კაცი თუ შევა?



ფრანს ფუტბოლს თავის სიტყვას „სარბიელიც“ ეტყვის

საუკეთესო 50 ფეხბურთელი ცნობილია — საუკეთესოთა შორის საუკეთესოს კი შობა-ახალი წლისთვის შევიტყობთ. ლაპარაკია „ოქროს ბურთზე“, რომელსაც ყოველწლიურად ატარებს „ფრანს ფუტბოლი“ ჟურნალისტთა გამოკითხვით და რომელშიც, ტრადიციულად, საქართველოდან „სარბიელი“ მიიღებს მონაწილეობას.

„ოქროს ბურთით“ დაჯილდოება პირველად 1956 წელს მოეწყო და მისი პირველი მფლობელი ლეგენდარული ინგლისელი სტენლი მეტიუზი გახლდათ. წლეულს საიუბილეო, ორმოცდამეათე დაჯილდოებაა და გამარჯვებულის გამოცნობა, იცოცხლეთ, ძნელია...

რომელი ერთი ჩამოვთვალოთ — რონალდინიო, სტივენ ჯერარდი, ფრენკ ლამპარდი, კაკა, ადრიანო, პაოლო მალდინი, ტიერი ანრი, რონალდო თუ მოქმედი ოქროსბურთიანი ანდრეი შევჩენკო...

60 წლის საუკუნის კაცი



ბადრი კვირიკაძის ფოტოები

გუშინ სეოულში საქართველოს XX საუკუნის საუკეთესო სპორტსმენი ქალი და კაცი, ნონა გაფრინდაშვილი და ვიქტორ სანეევი შეხვდნენ ერთმანეთს; ვიქტორ სანეევმა გუშინვე ქართველ სპორტსმენთა საფლავები მოინახულა და სამშობლოში ქართული ჭუდიც დაიხურა.

ბადრი კეთილაძის ფოტო

პლატინიმ ჟორდანიას დაურეკა

აღარც ბინა მინდა, აღარც მანქანა და აღარც საქართველოში ცხოვრება

უტყუარ ამბავს მოგახსენებთ: საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა და თბილისის „დინამოს“ ექსპრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ ახლახან ძიშელ პლატინისგან ოფიციალური შეთავაზება მიიღო — ჩემი საარჩევნო შტაბის წევრი გახდიო.

გეცოდინებათ, გაის ზაფხულს ფიფას პრეზიდენტის არჩევნები გაიმართება და ამ პოსტისთვის ალბათ ორი ცნობილი ფიგურა იბრძოლებს — პლატინი და ფრანც ბეკენბაუერი.

გახდება თუ არა ჟორდანია პლატინის გუნდის წევრი, ჯერ გადაწყვეტილი არაა. ამჟამად შვეიცარიაში მცხოვრები ჟორდანია, ალბათ, თავისი სამომავლო საქმიანობის სხვა ვარიანტებსაც განიხილავს.

რამდენიმე დღის წინ გაუწყეთ, რომ აქამდე ორჯერ დაპატიმრებულ-გათავისუფლებულ ჟორდანიას ახლახან ბინა და „მერსედესი“ დაუყადაღეს. ჟორდანიას კი ჯერაც არ მიუცია რწმუნება თავისი ადვოკატისთვის, რათა ბინა და მანქანა ყადაღისგან დაიხსნას.

ჟორდანიას ასეთი ინდიფერენტულობის მიზეზიც დავადგინეთ — მას საქართველოში ცხოვრება აღარ სურს. ყოველ შემთხვევაში, ამ მომენტისთვის ასეთ პოზიციაზეა.

დავით თავართქილაძე

ხიზანიშვილი ჰიუზმა აქო



გასულ უქმეებზე ინგლისური პრემიერლიგის მეათე ტურში „ბლექბერნმა“ შინ „ბირმინგემს“ 2:0 მოუგო და მასპინძელთა თავკაცმა მარკ ჰიუზმა თავისი გუნდიდან ყველაზე მეტად ორი ფეხბურთელი გამოარჩია: რობ სევიჯი და ზურაბ ხიზანიშვილი.

— ხიზანიშვილმა ძალიან კარგად ითამაშა. საერთოდაც, მას შემდეგ, რაც ის ჩვენთან გადმოვიდა, დიდებულად თამაშობს. მას კარგი კონცენტრაცია აქვს, ძალიან ტექნიკური და მოხერხებული ფეხბურთელია. ხიზანიშვილი ნებისმიერ გამოწვევას ღირსეულად ხვდება — უთხრა ჰიუზმა „სკაისპორტს“.

დავით თავართქილაძე

ინგლისი
ჩემპიონატი
გადადებული მატჩი
შეფილდი 1:1 ბრაიტონი

საფრანგეთი
მეორე დივიზიონი
XIII ტური
ისტრი 1:0 ბასტია

იტალია
სერია C/B. IX ტური
გროსეტო 0:1 პიზა

ჰოლანდია
II დივიზიონი. XIV ტური
ეძელსიორი 0:1 დენ ბოსხი

ჩეხეთი
გამბრინუსლიგა. X ტური
ტეპლიცე 0:0 ლიბერეცი

საბერძნეთი
ნაციონალლიგა. VII ტური
ლარისა 4:1 კალამარია

უფროსოვა დღეს ჩამოდის

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი დღეს თბილისში ბრუნდება. მოგეხსენებათ, სფფ-ის პრეზიდენტი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე მოთამაშე 17-წლამდელთა ნაკრებს ახლდა ბელგიაში, მერე კი რამდენიმე დღე გერმანიაშიც დაჰყო...

აქვე იმასაც გეტყვით, რომ გვიან ღამით ამსტერდამის რეისით დაბრუნდება 17-წლამდელთა ნაკრებიც, ჭაბუკებთან ერთად ჩამოვა ეროვნული გუნდის თავკაცი გაიოზ დარსაძეც.

და ერთიც: კითხვაზე, გეგმავს თუ არა ნოდარ ახალკაცი პრესკონფერენციის მოწყობას, ფედერაციის პრესსატაშემ სანდრო ცნობილაძემ გვიპასუხა, ზუსტ თარიღს ჯერ ვერ გეტყვით, თუმცა ამ კვირაში პრესკონფერენცია ალბათ იქნებაო.

გიორგი ვაშაკიძე

ღვინიანიძეს ღვინოებისთვეც გადაედო

ბადრი კეთილაძის ფოტო

მათე ღვინიანიძე (№3) მოედანს ნოემბერში დაუბრუნდება

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებისა და მოსკოვის „ლოკომოტივის“ მცველი მათე ღვინიანიძე მალე ვარჯიშს განაახლებს. შეგახსენებთ, იგი აგვისტოს ბოლოს მოსკოვში ერთ-ერთი ვარჯიშისას დაშავდა და მას შემდეგ უქმადაა.

ღვინიანიძეს საკმაოდ რთული ტრავმის შემდგომი სარეაბილიტაციო პერიოდი ოდნავ კი გაეწელა, თუმც ექიმები მისი მდგომარეობით მაინც კმაყოფილები არიან, ეგაა, ახალგაზრდა ქართველ მცველს ჯერაც უკრძალავენ მოედანზე გასვლას — სავარაუდოდ, მათე ნოემბრიდან დაიწყებს ძუნძულს.

ბახა ზალამბერიძე

ეგვიპტურად დამოძღვრილი იორდანია მეთერთმეტეა

გერმანია 2006-ის შესარჩევში იორდანიელები ირანის სტუმრად ძლევით გამოირჩნენ და ძალიანაც გაიხარეს

საქართველოს ეროვნული ნაკრები მორიგ საშინაო მატჩს 16 ნოემბერს გამართავს — იორდანიას ამხანაგურად გაეჯიბრება. აზიის ფეხბურთის კონფედერაციამ კი ოქტომბრის რეიტინგი გამოაქვეყნა და ჩვენს მომავალ მეტოქესაც თავისი ადგილი მიუჩინა — იორდანიის ნაკრები ახლა მე-11 ადგილზეა.

ფიფას აზიურ კონფედერაციაში 44 ქვეყანაა გაწევრიანებული და იორდანიელთა მეთერთმეტე პოზიცია არცთუ ურიგო მაჩვენებელი უნდა იყოს.

მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე იორდანია ჯგუფში ირანთან, ყატართან და ლაოსთან მოხვდა. პირველი ადგილი ირანმა დაიკავა და პლეი ოფშიც გავიდა, ხოლო იორდანიას მეორე ადგილი ერგო და მუნდიალის ჩაგზურისთვის ბრძოლას გამოეცალა. იორდანიამ ჯგუფში ოთხი მატჩი მოიგო და ორი წააგო აღსანიშნავია, რომ იორდანიამ ირანი თეირანში 1:0 დაამარცხა, თუმც შინ 0:2 წააგო.

იორდანიის ეროვნული ნაკრები ახლა აზიის თასის 2007 წლის გათამაშებისთვის ემზადება და ამხანაგური მატჩების სერიაც დაუგეგმავს.

სხვათა შორის, იორდანიელები ამ ნოემბერს კავკასიელ მეტოქეს პირველად არ შეხვდებიან — 17 აგვისტოს სომხებთან 0:0 ითამაშეს.

იმასაც გეტყვით, რომ იორდანია ჩვენებთან თამაშიდან ოთხი დღის შემდეგ შინ ყატარს შეხვდება.

იორდანიის ნაკრებს უცხოელი მწვრთნელი ჰყავს — ეგვიპტელი მაჰმუდ ელ გოჰარი, ვინც მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლშიც ხელმძღვანელობდა გუნდს.

დავით თავართქილაძე

ორი ქართველის ლიტვური ტიტული

გივი კვარაცხელია საუკეთესოა



ბადრი ეფრემიძის ფოტო

გივი კვარაცხელია

ნუკრი მანჩხავას და გივი კვარაცხელიას „კაუნასი“ ლიტვის ჩემპიონატში „ეკრანასს“ ვერ მოერევა და, სავარაუდოდ, მეორე ადგილზე დარჩება. თუმცა „კაუნასმა“ კვირას ქვეყნის თასი მოიპოვა. ჩვენიანების გუნდმა ფინალში, დამატებით დროში 2:0 მოუგო „ვეტრას“, რომლის კარშიც თბილისის „ვიტ ჯორჯიას“ და ქუთაისის „ტორპედოს“ ყოფილი მეკარე მირზა მერლანი იდგა.

მანჩხავამაც და კვარაცხელიამაც მატჩი სრულად ითამაშეს. მართალია, გოლი არ გაუტანიათ, თუმც კვარაცხელია ფინალის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს.

და კიდევ, თითოეული კაუნასელი მოგებისთვის 10 000 ლიტით დააჯილდოვეს.

ლუკა თალაკვაძე

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

პირველი წრე

10 ტურის მიმოხილვა

ჩემპიონატის სქემა: 6-4-6

ლოკომოტიველების პირველი ადგილიდან ჩამოქვეითებაში „ზესტაფონის“ მეკარე ზურაბ ქვაჩახიამაც თავისი წილი დაიდო

ფოტო ალექსანდრ ფეფელაშვილის

„ვიტ ჯორჯია“, „სიონი“, „ლოკომოტივი“, „ბორჯომი“, „დინამო“, „ამერი“ — გინდ აქედან მოუარე, გინდ იქიდან, ეს ექვსეული ჩემპიონატში აშკარად გამოირჩა და, ვფიქრობთ, სწორედ ესენი იბრძოლებენ ზედა ადგილებისთვის. მათ შემდეგ ოთხი საშუალო დონის გუნდი მოდის, ხოლო ქვედა ნაწილში ექვსია, არგავარდნისთვის რომ დააწყვეტს ერომანეთს ნერვებს.

ისე, ძლიერებში მეშვიდე გუნდიც შეიძლებოდა მიგვეთვალა და გამოიცნობთ, ვისზეცაა ლაპარაკი: ეს „ზესტაფონია“, მაგრამ ფეროელები ვერაფრით ამტკიცებენ თავიანთ ამბიციებს. ბოლო დროს წაგებებს დაეჩვიენენ და ახლა მეათე ადგილზე არიან. სიმართლე ვთქვათ, ფეროელებს საპროგრესო ჯერ არაფერი ეტყობათ და მერე თუ შემადგენლობა გააძლიერეს, ეს სხვა საქმეა. ჯერჯერობით კი „ზესტაფონის“ საჩემპიონო მიზნებზე, ბოდიშით და...

თბილისობას დამთხვეული მეათე ტური შაბათ-კვირის ოთხ-ოთხ მატჩზე იყო გადანაწილებული. მაინცდამაინც ძნელი გამოსაცნობი არ იყო, რომ პირველი დღე მასპინძლებისა იქნებოდა — ოთხივე თამაში მათ მოიგეს, თანაც გოლგაუშვებლად...

თბილისის „ამერმა“ სეზონში მეექვსე მატჩი მოიგო და აქედან მეხუთედ ანგარიშით 1:0. გლდანელებს სულიკო დავითაშვილის გვიანმა გოლმა უშველათ და პირველ წრეში კანფეტივით კალენდარი დარჩათ — წესით, „ამერი“ ახალი წლისთვის მეხუთე ადგილს ქვემოთ არ უნდა ვიხილოთ. „ბორჯომმა“ კი მიჯრით მეორე თამაში წაგო, თუმცა გლდანში ისე ცუდად არ უთამაშია, როგორც წინა ტურში „ვიტ ჯორჯიასთან“...

შაბათსვე ასევე გვიანი გოლით მოიგო „ბათუმმა“, რომელსაც აბსოლუტურად თანაბარ თამაშში თელავის „კახეთი“ შემოემარცხა. სამაგიეროდ, გორის „დილამ“ და ფოთის „კოლხეთმა“ გაილაღეს. ქართლელებმა ქრისტეფორე შატაკიშვილის ორი ლამაზი გოლით მე-12 წუთზევე გათანგეს საბრალო „თბილისი“. არადა, „დილაში“ ახლა ცუდი ფინანსური მდგომარეობაა, გუნდს ხელფას-პრემიები აქვს ასაღები და მათმა თავკაცმა ვლადიმერ ხაჩიძემ ერთხელ ისიც თქვა, ფული რომ გვქონდეს, ექვსეულსაც კი შევუტევდითო. „თბილისი“ კი ძალიან სუსტია. გიორგი დევდარიანს ერთი სული აქვს, როდის მოვა ზამთრის შესვენება, რათა გამოცდილი ფეხბურთელები დაიმატოს, თორემ დღევანდელი „თბილისის“ უმაღლეს ლიგაში დარჩენა ზღაპარში წერია.

„კოლხეთმა“ ასევე სუსტ „სოხუმს“ გადაურბინა. კვლავ გოლების იშტაზე იყო ზვიად ქუთათელაძე, რომელმაც დუბლი მიითვალა და პირველად მოხდა, „ქუთეს“ გარდა სხვა კოლხებმაც რომ გაიტანეს: გიორგი კრასოვსკიმ და ედიშერ მარგალიტაძემ იხეირეს. „სოხუმის“ მწვრთნელმა გოჩა ჟორჟოლიანმა ნამატჩევს წინა ტურში „ბათუმთან“ მოგება გაიხსენა და ხუმრობით თქვა — როცა არ ვვარჯიშობთ, მაშინ ვიგებთ თამაშსო. ვაი ჩვენს თავს, უვარჯიშებელი გუნდი რომ მოიგებს, ის ჩემპიონატი ჩემპიონატია?!

კვირის მატჩებიდან მთავარი „ლოკომოტივ“ — „ზესტაფონი“ იყო, სადაც თბილისელებმა ვერაფრით გაუტანეს გოლი ფეროელთა მეკარე ზურაბ ქვაჩახიას, არადა, მომენტები საკმაოდ ჰქონდათ. „ვიტ ჯორჯიასთან“ 0:4 წაგების მერე „ლოკომოტივთან“ გასვლით 0:0-ს რა დაეწუნება, მაგრამ ზესტაფონელთა თამაში საშინლად ღარიბი იყო.

კრიზისიდან გამოსული „დინამო“ კი თავის ბუდეს, ლიდერია ჯგუფს უახლოვდება. დინამოელებმა ამჯერად ქუთაისში აჯობეს ერთ დროს უპირველეს მეტოქე „ტორპედოს“ და კვლავ ლაზათიანი გოლი შეაგდო გია მეგრელაძემ — ექსტორპედოელმა მოხდენილი დრიბლინგის შემდეგ იხეირა. კახა ცხადაძის გუნდი შემდეგ ტურში „ლოკომოტივს“ დაუხვდება „ეროვნულზე“ და გამოცდაც ალბათ ეს თუ იქნება

„სიონმა“ „დინამოს“ ჯავრი „ცხინვალზე“ იყარა, უკვე პირველ ტაიმში 4:0-ს იგებდა, საბოლოოდ კი 6:1 „იკმარა“. ბოლნისელთაგან ჯერ ლა გამტანმა გაიტანა, ჯაბა ღვინერმა კი დუბლი მიითვალა. და მომდევნო ტურის კიდევ ერთი მოკავარმატჩიც: „სიონი“ „ვიტ ჯორჯიას“ სტუმრობს...

იმ „ვიტ ჯორჯიას“, რომელმაც მიჯრით მერვე თამაში მოიგო და პირველ ადგილზეა. ვიტელები ექსპრესივით მიქრიან, კვირის ბენავ „სპარტაკს“ გამოუცვანეს წირეი, კვლავ ოთხი ბურთი შეაგდეს და ისე როგორ იქნებოდა, ოთარ მარცვალაძე უგოლოდ დარჩენილიყო — 21 წლის ვერცხლისწყალა ფორვარდმა ორი ბურთი შეაგდო და ოთი გოლით ბომბარდირებშიც გასულიყო.

ილია ნანოგაშვილი



ბომბარდირები

10-მარცვალაძე	ვიტ ჯორჯია
7-ქუთათელაძე	კოლხეთი
დვალი	სიონი
6-ქორიძე	ბორჯომი
5-მეგრელაძე	დინამო
დოლიძე	სიონი
მიქაუჩაძე	სიონი
4-სულთანიშვილი	დილა
ბ. ხანიშვილი	დილა
იაშვილი	დინამო

ვიტ ჯორჯია	10	8	1	1	24:6	25
სიონი	10	8	1	1	21:8	25
ლოკომოტივი	10	7	3	0	15:2	24
ბორჯომი	10	7	0	3	18:9	21
დინამო	10	6	1	3	15:6	19
ამერი	10	6	1	3	9:7	19
ბათუმი	10	5	1	4	7:6	16
დილა	10	5	0	5	15:10	15
კოლხეთი	10	5	0	5	9:9	15
ზესტაფონი	10	4	2	4	6:9	14
კახეთი	10	4	0	6	9:14	12
ცხინვალი	10	3	0	7	7:18	9
ტორპედო	10	2	2	6	6:11	8
სოხუმი	10	2	1	7	9:24	7
სპარტაკი	10	1	1	8	2:14	4
თბილისი	10	0	0	10	2:20	0

სტადიონი	მატჩი	მინდვრის მდგომარეობა	ორგანიზაცია	დასწრება	საშუალო ბალი
„ტორპედო“ ქუთაისი	ტორპედო 0:2 დინამო	9,0	8,0	9,0	8,6
„ამერი“ თბილისი	ამერი 1:0 ბორჯომი	9,5	8,5	8,0	8,6
„მიხეილ მესხი“ თბილისი	ლოკომოტივი 0:0 ზესტაფონი	9,0	6,5	6,5	7,3
„თამაზ სტეფანია“ ბოლნისი	სიონი 6:1 ცხინვალი	7,5	7,5	4,5	6,5
„შევარდენი“ თბილისი	სპარტაკი 1:4 ვიტ ჯორჯია	7,0	6,5	4,5	6,0
„თენგიზ ბურჯანაძე“ გორი	დილა 3:0 თბილისი	6,5	6,0	4,5	5,6
„ფაზისი“ ფოთი	კოლხეთი 4:0 სოხუმი	6,5	6,5	2,5	5,1
„დინამო“ ბათუმი	ბათუმი 1:0 კახეთი	6,5	6,0	2,5	5,0

მომდევნო ტური

30 ოქტომბერი, კვირა

სოხუმი – ამერი

კახეთი – კოლხეთი

ზესტაფონი – დილა

დინამო – ლოკომოტივი

ცხინვალი – ტორპედო

ვიტ ჯორჯია – სიონი

ბორჯომი – სპარტაკი

31 ოქტომბერი, ორშაბათი

თბილისი – ბათუმი

ქართველები უცხოეთში

გადრი ალექსანდრიის ფოტო

დავით გამეზარდაშვილი ლატვიის ქართულ ლეგიონს ოფიციალურად შეუერთდა

სურკისმა გიგიაძე იყიდა?

დავით გამეზარდაშვილმა სკონტო ქაღალდზეც გაიფორმა და მოედანზეც

მოსკოვის „ლოკომოტივი“ უფრო და უფრო შორდება ჩემპიონობას. მალხაზ ასათიანის გუნდმა ქართველებით გადაპენტილ ვლადიკავკაზის „ალანიასთანაც“ დაკარგა ოქროს ქულები და კონკურენტ ცეესკას დაწინაურების საშუალება მისცა. ღონემიხდილ „ლოკომოტივს“ ოსებთან მატჩში მომენტები კი ჰქონდა, მაგრამ გოლის ვატანა ვერ შეძლო — შეხვედრა 0:0 დასრულდა და, ძნელი სავარაუდოა, რკინიგზელები ჩემპიონობას შესწვდნენ.

ამგვარად, „ალანიამ“ მშვენიერი საჩუქარი მიუძღვნა თავის ყოფილ მწვრთნელ ვალერი გაზაევს, რომლის ცეესკაც ორი ქულით დაუსხლტა „ლოკომოტივს“. სხვათა შორის, „ალანია“ — „ლოკომოტივის“ მატჩის შემდეგ ვლადიკავკაზელთა შემადგენლობაში გამოჩენილმა ერთადერთმა ქართველმა *გიორგი დემეტრაძემ* ასეთი კომენტარი გააკეთა: „ძალიან მიხარია, რომ ჩემს ძველ დამრიგებელს ვალერი გაზაევს ასეთი სამსახური გავუწიეთ. ვალერი გეორგეევიჩს დიდ პატივს ვცემ და მჯერა, რომ ჩემპიონი სწორედ მისი გუნდი გახდება“.

ქართველთაგან რუსულ პრემიერლიგაში გიორგი ქინქლაძე გამოირჩა. ყაზანის „რუბინმა“ 2:1 მოუგო სამარის „კრილია სოვეტოვს“ და ჩვენებურმა პირველი საგოლე კომბინაცია წამოიწყო. ქინქლაძე რუსმა ჟურნალისტებმა მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს.

ლატვიაში კი მორიგი ქართველის დებიუტი შედგა. ქუთაისის „ტორპედოს“ ყოფილმა მცველმა *დავით გამეზარდაშვილმა* „სკონტოსთან“ კონტრაქტი გააფორმა და პირველი მატჩიც ჩაატარა. რიგელებმა თანაქალაქელ „რიგასთან“ 1:1 ითამაშეს და გამეზარდაშვილის გარდა *ზაალ ელიავამ* და *ზურაბ მენთეშაშვილმა* 90-90 წუთი დაყვეს მოედანზე.

ვასილ გიგიაძემ მთელი უკრაინა აალაპარაკა. კიევის „დინამოსთან“ მატჩში „კრივბასის“ ქართველმა თავდამსხმელმა ისეთი მომენტი გააცუდა, რომ... სხვადასხვა უკრაინული ვებ-გვერდების ფორუმებზე გულშემატკივრები „გამოაცოცხლა“: „ასეთი რამ ცხოვრებაში არ მინახავს“, „სურკისმა გიგიაძე იყიდა?“ „კიევის „დინამოს“ ფანებო, ვასოს უმადლოდეთ!“ „გიგიაძე „დინამოში“ გადასვლას ალალად იმსახურებს“ და მისთანანი. მოკლედ, „კრივბასმა“ 0:1 წააგო და ვასოსაც მომავალ მატჩებში მოუწევს რეაბილიტაციაზე ფიქრი.

ცუდად მისდის საქმეები „ანართოსისს“. თემურ ქეცბაიას დაშავების შემდეგ გუნდმა სახე დაკარგა და რაგინდარა გუნდებთან ანიავებს ქულებს. ფამაგუსტელები ამჯერად აელ-ს დაეჩაგვრინენ — 0:3. *კლიმენტი წიტაიშვილი* ვერაფრით გამოირჩა და პირველი ტაიმის მერე შეცვალეს, *გიორგი გაბიდაურმა* კი ბოლო 16 წუთი ითამაშა. ახლა „ანართოსისი“ მეხუთე ადგილზეა სატურნირო ცხრილში.

ლევან ცქიტიშვილის ტრავმამ ბუნდესლიგაში-ქართული დერბი ჩაშალა. „ცქიტოს“ გარეშე მოთამაშე „ვოლფსბურგი“ *ლევან კობიაშვილის* „შალკეს“ დაუხვდა და უგოლოდ გაეყარა. „კობი“ ძირითადში იყო და ჩვეულად საყრდენ ნახევარმცველად ითამაშა.

ანა შალამბერიძე

სახელი გვარი	გუნდი	სად	მეტოქე	წთ	შენიშვნა	თ	გ	ა
იტალია. სერია A								
კახა კალაძე	მილანი	შ	პალერმო 2:1	0	სათადარიგო	4	0	2
გერმანია. გუნდესლიგა								
ლევან კობიაშვილი	შალკე	ს	ვოლფსბურგი 0:0	90		10	0	4
ლევან ცქიტიშვილი	ვოლფსბურგი	შ	შალკე 0:0	0	ტრავმირებულია	7	0	6
გერმანია. მეორე ბუნდესლიგა								
ალექსანდრე იაშვილი	ფრაიბურგი	ს	ბოხუმი 0:4	90	გააფრთხილეს	10	1	7
ოთარ ხიზანეიშვილი	ფრაიბურგი	ს	ბოხუმი 0:4	0	ტრავმირებულია	0	0	7
გერმანია. ჩრდილოეთ რეგიონალლიგა								
ხვიჩა შუბითიძე	ზტ. პაული	შ	ოსნაბრიუკი 2:1	81	შეცვალეს	12	1	5
გერმანია. სამხრეთ რეგიონალლიგა								
მიხეილ საჯაია	ბაიროთი	ს	კიკერსი 2:2	90		10	7	8
ინგლისი. პრემიერლიგა								
ზურაბ ხიზანიშვილი	ბლეკბერნი	შ	ბირმინგემი 2:0	90		6	0	10
ჰოლანდია. ერედივიზიონი								
შოთა არველაძე	ალკმაარი	შ	ტილბურგი 5:1	66	შეცვალეს	9	10	2
გოგა გახოკიძე	ტვენტე	ს	ბრედა 1:1	0		5	0	10
ავსტრია. მაძსაბუნდესლიგა								
დავით მუჯირი	შტურმი	ს	ზალცბურგი 0:3	52	შეცვალეს	13	5	4
რუსეთი. პრემიერლიგა								
მალხაზ ასათიანი	ლოკომოტივი	ს	ალანია 0:0	90	გააფრთხილეს	26	1	2
გიორგი ქელიძე	ლოკომოტივი	ს	ალანია 0:0	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	2
რომან ახალკაცი	ლოკომოტივი	ს	ალანია 0:0	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	2
მათე ღვინინინიძე	ლოკომოტივი	ს	ალანია 0:0	0	ტრავმირებულია	0	0	2
მიხეილ აშვეთია	როსტოვი	შ	ტომი 2:0	13	შეცვლაზე ითამაშა	12	1-	12
გოჩა ხოჯავა	როსტოვი	შ	ტომი 2:0	0	განაცხადში არ იყო	1	0	12
ბექა ჟღენტი	ტორპედო	ს	სპარტაკი 0:1	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	7
ანზორ კალაძე	ტორპედო	ს	სპარტაკი 0:1	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	7
ვიტალი დარასელია	ალანია	შ	ლოკომოტივი 0:0	0.	სათადარიგო	18	1	16
ლევან გვაზავა	ალანია	შ	ლოკომოტივი 0:0	0	სარეზერვო გუნდშია	6	0	16
ლადო ბურდული	ალანია	შ	ლოკომოტივი 0:0	0	სარეზერვო გუნდშია	13	0	16
დავით კვირკველია	ალანია	შ	ლოკომოტივი 0:0	0	სათადარიგო	13	0	16
ჯაბა კანკავა	ალანია	შ	ლოკომოტივი 0:0	0	სათადარიგო	10	0	16
გიორგი შაშიაშვილი	ალანია	შ	ლოკომოტივი 0:0	0	სარეზერვო გუნდშია	7	0	16
გიორგი დემეტრაძე	ალანია	შ	ლოკომოტივი 0:0	34	შეცვლაზე ითამაშა	10	2	16
გიორგი ქინქლაძე	რუბინი	შ	კრილია 2:1	90		7	2	5
ლაშა სალუქვაძე.	რუბინი	შ	კრილია 2:1	0	განაცხადში არ იყო	20	0	5
ზურაბ არზიანი	რუბინი	შ	კრილია 2:1	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	5
რუსეთი. პირველი დივიზიონი								
გიორგი ლომაია	ხიმკი	ს	ავანგარდი 2:1	90		12	0	4
გოგიტა გოგუა	ხიმკი	ს	ავანგარდი 2:1	0		6	0	4
რევაზ გოცირიძე	კამაზი	ს	ორიოლი 1:1	0		16	0	3
კახა მჟავანაძე	ანჟი	ს	დინამო 2:4	90		30	1	10
მამუკა ლომიძე	ჩკალოვეცი	ს	ფაკელი 3:2	0		11	0	11
ლევან ბერიშვილი	მ. კუზბასი	ს	მეტალურგი 2:2	90		31	5	18
პაატა ჯინჭარაძე	ბრიანსკი	შ	ურალი 2:0	90		33	2	16
დავით ხმელიძე	ჩელიაბინსკი	ს	პეტროტრესტი 3:0	0		9	0	8
უკრაინა. უმაღლესი ლიგა								
ირაკლი მოდებაძე	მ. ზაპოროჟიე	შ	ვორსკლა 0:2	0	ტრავმირებულია	0	0	15
არჩილ ბაჯელიძე	მ. ზაპოროჟიე	შ	ვორსკლა 0:2	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	15
ლაშა ჯაკობია	მეტალისტი	ს	დნიპრო 0:0	87	შეცვალეს	13	6	5
გიორგი ციმაკურიძე	სტალი	შ	ზაკარპატიე 1:0	90		13	1	11
ვასილ გიგიაძე	კრივბასი	შ	დინამო 0:1	90		12	3	12
ილია კანდელაკი	ჩერნომორეცი	ს	ტავრია 1:1	90		6	0	3
ირაკლი ქორთუა	დინამო	ს	კრივბასი 1:0	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	2
საბერძნეთი. ეროვნული ლიგა								
ლევან მაღრაძე	ქსანთი	ს	ეგალეო 2:3	90		6	0	1
ამირან მუჯირი	კალითეა	ს	ლევადიაკოსი 0:1	90		6	0	16
კვიპროსი. პირველი დივიზიონი								
თემურ ქეცბაია	ანართოსისი	ს	აელ 0:3	0	ტრავმირებულია	4	2	5
კლიმენტი წიტაიშვილი	ანართოსისი	ს	აელ 0:3	45	შეცვალეს	5	1	5
გიორგი გაბიდაური	ანართოსისი	ს	აელ 0:3	16	შეცვლაზე ითამაშა	3	0	5
ლევან ქებაძე	აშნა	შ	აპოპი 2:0	0		6	2	6
ლატვია. უმაღლესი ლიგა								
ლევან კორლალიძე	სკონტო	ს	რიგა 1:1	0		14	0	2
ზურაბ მენთეშაშვილი	სკონტო	ს	რიგა 1:1	90	გააფრთხილეს	19	2	2
ზაალ ელიავა	სკონტო	ს	რიგა 1:1	90		22	0	2
დავით ჩალაძე	სკონტო	ს	რიგა 1:1	0		8	2	2
დავით გამეზარდაშვილი	სკონტო	ს	რიგა 1:1	90		1	0	2
ლევან მიქაძე	მეტალურგსი	შ	ვენტა 9:0	0		23	2	1
ალეკო რეხვიაშვილი	ვენტსპილსი	შ	დინაბურგი 3:1	90		20	3	3
ყაზახეთი. სუპერლიგა								
გიორგი გოგიაშვილი	ვოსტოკი	ს	კაირატი 0:3	0	განაცხადში არ იყო	20	5	13

შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში

რობერ პირესმა და ტიერი ანრიმ ჭომაგებს მოუბოდიშეს

მასხარები საფრანგეთიდან

შაბათს „მანჩესტერ სიტი-სთან“ შესრულებული უხერხული პენალტის გამო „არსენალის“ გულშემატკივრებს ბოდიში ახლა უკვე ტიერი ანრიმ მოუხადა.

„მაშინ არასწორად მოვიქეცით. ამგვარი მასკარადი არ უნდა მოგვეწყო. მომდევნო თამაშებში პენალტს მე თვითონ დავარტყამ“ — განუცხადა ანრიმ ინგლისურ მედიას.

„მეოოფეთა“ ლიდერმა თანამემამულე პირესთან ერთად პრემიერლიგის მეათე ტურში მართლა უხერხული მასკარადი მოაწყო. ფრანგებმა „სიტისთან“ გატანილი პირველი თერთმეტმეტრიანის შემდეგ წაიღლაბუცეს — პირესმა მეორე პენალტისას ბურთს ფეხი წაჰკრა და სანამ ანრი დაარტყამდა, მსაჯმა „არსენალი“ დააჯარიმა (ბურთს ბრუნი არ გაუკეთებია).

„ვაღიარებ, რომ ეს ჩემი იდეა იყო. რობერს ვუთხარი, ბურთი ჩემთვის დაეგორებინა, რათა გოლის ავტორი მე ვყოფილიყავი. საუბედუროდ, პირესმა ჩანაფიქრის განხორციელება ვერ შეძლო. კარგია, თუ გულშემატკივრები ამას იუმორის გრძნობით შეხვდნენ. მატჩი ხომ მაინც მოვიგეთ და სიცილიც სასარგებლოა, ამბობენ“ — თქვა ტიერი ანრიმ.

ლადო ხომერიკი

მიხაელ, ჩახედე ცხრილს



კარლ ჰაინც რუმენიგემ

თქვა, მიუნხენის „ბაიერნიდან“ მიხაელ ბალაკის წასვლა შეცდომა იქნებაო. ბალაკს მომავალ გაზაფხულზე კონტრაქტი ეწურება, ახლის გაფორმებას კი არ ცდილობს, ფეხბურთელს „მანჩესტერ იუნაიტედის“ და მადრიდის „რეალი“ ეპატიჟებიან და ერთი სული აქვთ, გერმანელი ნახევარმცველი ხელში ჩაიგდონ.

„ვერც წარმომიდგენია, რომ ბალაკი შეიძლება მანჩესტერ იუნაიტედის“ მოთამაშე გახდეს. რით სჯობს ეს ინგლისური კლუბი „ბაიერნს“? ჩახედეთ ბუნდესლიგისა და პრემიერლიგის ცხრილებს და თავად მიხვდებით ყველაფერს. მე რომ ახლა ფეხბურთელი ვიყო, არაფრის დიდებით მანჩესტერში არ გადავიდოდი. მადრიდის „რეალიც“ კარგი კლუბია, მაგრამ ნახეთ, ბოლო ორ სეზონში არაფერი მოუგია“ — განაცხადა რუმენიგემ.

მიხაელ ბალაკის ადგილზე კი თვალი მარსელინიოს უჭირავს. „ჰერტას“ ლეგიონერმა ეს თავად გაამხილა: „ბალაკი გუნდიდან თუ წავა, ხოლო „ბაიერნი“ და „ჰერტა“ მორიგდებიან, სიამოვნებით ვითამაშებ მიუნხენში. ნებისმიერ ფეხბურთელს სურს „ბაიერნის“ მაისურის მორგება და გამონაკლისი არც მე ვარ“.

შემდეგ კი დასძინა, ამ თემაზე მხოლოდ იმიტომ ვილაპარაკე, რომ ჟურნალისტები მომავალზე შემეკითხნენ. ისე არ გამიგოთ, თითქოს „ჰერტადან“ გავრბოდეო.

ვაჟა ხუციშვილი

ჩხუბი ნიუკასლში

კვირას ჩრდილოაღმოსავლური დერბის დღე იყო: მეზობელი ქალაქების ნიუკასლისა და სანდერლენდის გუნდების თამაშში პირველებმა იმარჯვეს დიდი გაჭირვებით და რასაკვირველია არეულობაც მოხდა: ჩხუბში ორივე მხრიდან 300 კაცი მონაწილეობდა და ის ნიუკასლის „სენტ ჯეიმს პარკის“ მისადგომებთან ატყდა თამაშიდან ერთი ხნის შემდეგ.

ნორთემბერლენდის პოლიციის ცნობით 20 მონაწილე დაპატიმრებულია, ჩხუბის ხელშეწყობი კი ალკოჰოლი იყო. თავად თამაშმა შედარებით მშვიდობიანად ჩაიარა. მატჩის შემდეგ მცირე გაწევგამოწევა ტრიბუნებზეც იყო, თუმცა, ძაღლებიანმა პოლიციამ ხალხი იოლად გააცალკევა. მერე კი დიდი ხნის სმამ თავისი შედეგი გამოიღო.

ირაკლი გამყრელიძე

ფილიპ ტრუსიეს ირლანდიური სიხარული

ირლანდიის ნაკრების მწვრთნელი შესაძლოა ჯორჯ ბარლი გახდეს, რომელიც გასულ კვირას „ჰართსიდან“ დაითხოვეს.

ბარლის გათავისუფლებამდე უმთავრესი კანდიდატი ზაფხულში „სელტიკიდან“ წასული მარტინ ონილი იყო. ონილს მეუღლე ჰყავდა ცუდად და ფეხბურთსაც ამიტომ დაშორდა, მაგრამ ახლა შეიძლება დაბრუნდეს. მესამე კაცი ფრანგი ფილიპ ტრუსიე გახლავთ, ვინც გაზაფხულზე „მარსელიდან“ აიბარგა და ამჟამად უსაქმოდაა. ტრუსიეს მაროკოს ნაკრების თავკაცობას სთავაზობდნენ, მაგრამ საქმიდან არაფერი გამოვიდა.

ფრანგმა განაცხადა: „ირლანდიის მწვრთნელობა დიდი გამოწვევა იქნება. გამოცდილება ნაღდად არ მაკლია, რადგან ექვს სხვადასხვა ქვეყანაში მიმუშავია. ძალიან სასიამოვნოა, რომ დამაფასეს და მე(ც) კანდიდატთა შორის განიხილავენ. უარის თქმას, ცხადია, არ ვაპირებ ამ შემთხვევაში ჯამაგირი მთავარი არ არის“.

ზემოთ ჩამოთვლილი სამეულის გარდა სავარაუდო მწვრთნელთა ნუსხაში შედიან: კლაუდიო რანიერი, ლაიამ ბრეიდი და ჯონ ოლივერიჯი.

ვაჟა ხუციშვილი



ჯორჯ ბარლი

ფილიპ ტრუსიე

ოქროს ბურთი 2005 ევროპის რჩეულნი



შარშან „ოქროს ბურთი“ ანდრეი შევჩენკომ მოინადირა

წლევანდელ „ოქროს ბურთზე“ ტრადიციულად ორმოცდაათი ფეხბურთელია წარდგენილი. მათი უმეტესობა სერია A-ს და პრემიერლიგას წარმოადგენს, რაც ალბათ ამ ჩემპიონატების სიძლიერეზე ნაწილად მეტყველებს. თუ კლუბებს გადავხედავთ, ყველაზე მეტი კანდიდატი „იუვენტუსიდან“ არის: ბუფონი, კამორანეზი, კანავარო, ვიეირა, იბრაჰიმოვიჩი, ტურამი, ემერსონი და 2003 წლის „ოქროს ბურთის“ მფლობელი პაველ ნედვედი. „მილანი“ ხუთი კანდიდატითაა წარმოდგენილი — პირლო, მალდინი, დიდა, კაკა და ამჟამინდელი „№1 ევროპელი“ ანდრეი შევჩენკო. ფეხბურთი და ადრიანო კი „ინტერიდან“ არიან და თექვსმეტი „ბურთელიელის“ რიცხვს ავსებენ. ასევე თექვსმეტი ფეხბურთელია პრემიერლიგიდან.

გამარჯვებულს კი „ფრანც ფუტბოლის“ მიერ ჟურნალისტებში ჩატარებული გამოკითხვა გამოავლენს. ამაში კი ტრადიციულად საკუთარ წვლილს ჩვენც შევიტანთ.

აღვნიშნოთ ისიც, რომ წლეულს „ოქროს ბურთის“ ორმოცდამეათე, საიუბილეო დაჯილდოვებაა.

ზურა გოცირიძე

კანდიდატთა სრული სია

ადრიანო („ინტერი“, ბრაზილია)
ბალაკი („ბაიერნი“, გერმანია)
ბექემი („რეალი“, ინგლისი)
ბუფონი („იუვენტუსი“, იტალია)
კამორანეზი („იუვენტუსი“, იტალია)
კანავარო („იუვენტუსი“, იტალია)
კარაგერი („ლივერპული“, ინგლისი)
ჩეხი („ჩელსი“, ჩეხეთი)
შევჩენკო („მილანი“, უკრაინა)
კუპე („ლიონი“, საფრანგეთი)
კრისი („ლიონი“, საფრანგეთი)
დეკო („ბარსელონა“, პორტუგალია)
დიდა („მილანი“, ბრაზილია)
დროგბა („ჩელსი“, კოტდივუარი)
ემერსონი („იუვენტუსი“, ბრაზილია)
ესიენი („ჩელსი“, განა)
ეტოო („ბარსელონა“, კამერუნი)
ფიგუ („ინტერი“, პორტუგალია)
ფორლანი („ვილიარეალი“, ურუგვაი)
ლუის გარსია („ლივერპული“, ესპანეთი)
ჯერარდი („ლივერპული“, ინგლისი)
ანრი („არსენალი“, საფრანგეთი)
იბრაჰიმოვიჩი („იუვენტუსი“, შვედეთი)
ჟუნინიო („ლიონი“, ბრაზილია)
რობინიო („რეალი“, ბრაზილია)
კაკა („მილანი“, ბრაზილია)
ლამპარდი („ჩელსი“, ინგლისი)
მაკაი („ბაიერნი“, ჰოლანდია)
მაკელელე („ჩელსი“, საფრანგეთი)
მალდინი („მილანი“, იტალია)
ნედვედი („იუვენტუსი“, ჩეხეთი)
ოუენი („ნიუკასლი“, ინგლისი)
პარკი („მანჩესტერ იუნ.“, კორეა)
პირლო („მილანი“, იტალია)
რაული („რეალი“, ესპანეთი)
რიკელმე („ვილიარეალი“, არგენტინა)
რობენი („ჩელსი, ჰოლანდია)
რობერტო კარლოსი („რეალი“, ბრაზილია)
რონალდინიო („ბარსელონა“, ბრაზილია)
რონალდო („რეალი“, ბრაზილია)
კ. რონალდო („მანჩესტერ იუნ.“, პორტუგალია)
რუნი („მანჩესტერ იუნ.“, ინგლისი),
ტერი („ჩელსი“ ინგლისი)
ტურამი („იუვენტუსი“, საფრანგეთი)
ტრეზეგე („იუვენტუსი“, საფრანგეთი)
ვან ბომელი („„ბარსელონა“, ჰოლანდია)
ვან ნისტელროი („„მანჩესტერ იუნ.“, ჰოლანდია)
ვიეირა („იუვენტუსი“, საფრანგეთი)
ხავი („ბარსელონა“, ესპანეთი)
ზიდანი („რეალი“, საფრანგეთი)

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲗᲔᲗᲘ

I ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ. XII ᲢᲣᲠᲘ

ᲡᲝᲨᲝ 2:1 ᲛᲝᲜᲐᲙᲝ

1:0 ილანი (9), 2:0 დაგანო (40), 2:1 მაიკონი (90)

ᲢᲠᲣᲐ 1:1 ᲚᲐᲜᲡᲘ

0:1 კუზინი (21), 1:1 ადამი (70)

ᲐᲘᲐᲩᲝ 0:1 ᲠᲔᲜᲘ

0:1 ფრეი (41)

ᲚᲔ ᲛᲐᲜᲘ 2:0 ᲡᲢᲠᲐᲡᲑᲣᲠᲘ

1:0 ჰოტკოერი (1), 2:0 მატსუი (42)

ᲡᲔᲜᲢ ᲔᲢᲘᲔᲜᲘ 2:1 ᲛᲐᲠᲡᲔᲚᲘ

1:0 ფეინდუნო (23), 1:1 რიბერი (35), 2:1 ჰელებუკი (84)

ᲛᲐᲠᲡᲔᲚᲘ ᲥᲕᲐᲑᲨᲘ ᲙᲣᲞᲔᲡ ᲗᲐᲡᲘ ᲐᲡᲪᲓᲐ

AFP სოშოდან

სოშო 2:1 მონაკო. ოლივიე კაპო და მისი თანაგუნდელები მასპინძლებს ვერ გადაუტანენ

ᲖᲔᲓᲘᲖᲔᲓ ოთხი თამაში არ წაეგო „მონაკოს“ ჩემპიონატში და მისი უძლეველი სვლა „სოშომ“ შეწყვიტა, ეს მონაკოელთა მწვრთნელ ფრანჩესკო გვიდოლინის პირველი მარცხი ფრანგულ ლიგაში და მიჯრით მეორე ოთხ დღეში მისი გუნდი გასულ ხუთშაბათს უეფას თასზე სტუმრად „ვიკინგთანაც“ დამარცხდა.

მიუხედავად იმისა, რომ „სოშო“ ქვედა სამეულში ყურყუტებდა და თორმეტ მატჩში ოდენ ხუთი გოლი გაეტანა, „მონაკოსთან“ ერთი ოვით ავჯობა. ფილიპ ბრუნელმა პასით სტუმართა დაცვა „მოჭრა“ და ილანი ვარმუზს პირისპირ შეჰყარა, ბრაზილიელს კი გატანა არ გასჭირვებია. მეორე გოლი ჯარიმას მოჰყვა. ფაბიან ბუდარენეს ჩაწოდებულ ბურთს მუმუნი დაგანომ შორ ძელთან თავი დაუხვედრა და სხვაობა ორამდე გაზარდა. მონაკოელებმა ბოლო წუთზე გაიუაფხურეს, მერიემის დაწყებული კომბინაცია მაიკონმა გოლით დაასრულა.

„ქვაბად“ წოდებულ „სენტ ეტიენის“ სტადიონზე ფეხბურთი დუღდა და „მარსელი“ უწყლოდ „მოხარშეს“. მასპირძლებმა სამი ქულა მიითვალეს და მეოთხე ადგილზე გადაბრძანდნენ. მარსელელებს დაცვაში ფრედერიკ დეუ აკლდათ, ხოლო მთავარმეგოლე მამადუ ნიანგი პირველი ტაიმის შუაში ტრავმის გამო შეცვალეს. ამ ფეხბურთელების გარეშეც კი სტუმრებს თამაშის მოგება შეეძლოთ, კრისტიან ხიმენესს 1:1-ზე ნაღდი მომენტი რომ გამოეყენებინა. მე-80 წუთზე „სენტ ეტიენის“ მცველმა ზუმანა კამარამ მეკარეს უხეიროდ დაუბრუნა ბურთი, რომელსაც ხიმენესმა მიუსწრო და ჟანოსთან პირისპირ გასულმა გატანა ვერ შეძლო. ამ ეპიზოდიდან სამ წუთში „მწვანეების“ შეტევა გოლით დასრულდა. ჰელებუკმა პერინისგან ქუსლური პასი მიიღო და ბარტეზი უშანსოდ დატოვა.

ანგარიში კი პირველ ტაიმში პასკალ ფეინდუნომ გახსნა, რომელმაც ლორიკ კანას ნახტომში აჯობა და თავით შეჭედა ბურთი ბარტეზის კარში. ტრავმირებული ნიანგის ნაცვლად შესულმა კოკემ „მარსელის“ საგოლე კომბინაცია წამოიწყო, ლამუშიმ გააგრძელა, ფრანკ რიბერიმ კი ჟერემი ჟანოს გაუტანა.

„ზოგიერთ მატჩში ყველაფერი კარგად ეწყობა და გოლებიც განსაკუთრებულად ლამაზი გამოგვდის, ანუ დიდიხანს გვამახსოვრდება. ასე იყო დღესაც — თქვა ნამატჩევს „სენტ ეტინეის“ მწვრთნელმა ელი ბოჰმა — ჩემმა გუნდმა შეტევაში საუცხოოდ ითამაშა და სანაცლოდ გამარჯვების გოლი დაიმსახურა“.

უცნაურია, რომ „სტრასბურმა“, რომელმაც გასულ ხუთშაბათს შვეიცარიის უძლიერეს გუნდ „ბაზელს“ სტუმრად მოუგო, „ლე მანთან“ იოლად წააგო. დაისუკე მატსუის პასით ჰოტკოერმა მეორე წუთზე გახსნა ანგარიში, პირველ ტაიმის ბოლოს კი თვითონ მატსუიმ იყოჩაღა. უკვე ორი თვეა, „აიაჩოს“ საშინაო მატჩი არ მოუგია და დანავსული სერია „რენთანაც“ ვერ შეწყვიტა. რენელები ამ სეზონში გასვლაზე უკეთ თამაშობენ, ვიდრე შინ და ამჯერად კორსიკაზეც ივარგეს. სტუმართა ფორვარდმა ალექსანდრ ფრეიმ შესვენებამდე წუთით ადრე პენალტის ნიშნულთან გზააბნეულ ბურთს ფეხი მიაწვდინა და საგოლედ დაჰკრა.

ბუქარესტში „სტიაუასთან“ 0:4 განადგურების შემდეგ „ლანსს“ ტრუაში გამარჯვება ეწადა, მაგრამ მხოლოდ ქულა ერგო. დანიელ კუზინმა ლანსელები პირველი ტაიმის შუაში დააწინაურა, 54-ე წუთზე კი პენალტი მოინაგრა მაგრამ უშნოდ შეასრულა — ლე კრომმა აუღო. ამის მერე კუზინი აიჭრა და შეხვედრის დასრულებამდე ცხრა წუთით ადრე გააძევეს, თუმცა მანამდე ტრუელმა ფრედერიკ ადამმა გათანაბრება შეძლო.

ბოლოს ლიგის ხასის მატჩებზეც ვთქვათ რამდენიმე სიტყვა, რომლებიც დღეს და ხვალ გაიმართება. „ლიონი“ „ნანტს“ გრეგორი კუპეს გარეშე ეწვევა, რადგან კუპე გადაიღალა და დასვენება სჭირდება. მის ნაცვლად კარში რეიმი ვერკუტრი ჩადგება.ვერკუტრი გასულ სეზონში „სტრასბურში“ თამაშობდა და ეს თასი მოიგო. „თასი მისმა მფლობელმა უნდა დაიცვას“ — იხუმრა კუპემ, მისმა „ნანტელმა“ კოლეგა მიკაელ ლანდრიმ კი თქვა, „ლიონის“ დამარცხება შეუძლებელიაო.

საინტერესო იქნება „ოსერისა“ და „ლანსის“ შეხლა. ლანსელებმა ჩემპიონატში უკვე მოასწრეს „ოსერის“ 7:0 განადგურება.

„მარსელი“ მეგოლე მამადუ ნიანგის გარეშე ჩააკითხავს „ბორდოს“, რომელიც ამ სეზონში მხოლოდ ერთხელ დამარცხებულა, ხოლო ჯაჭირვებულმა „სტრასბურმა“, ეკეკ მეორედივიზიონელ „კაენთან“ მაინც გაიგოს გამარჯვების გემო.

ᲕᲐᲫᲐ ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ლიონი	12	9	3	0	22:8	30
პსჟ	12	7	2	3	15:9	23
ბორდო	12	5	6	1	12:7	21
სტ. ეტიენი	12	5	5	2	13:7	20
ლილი	12	5	4	3	17:9	19
ლე მანი	12	5	4	3	13:8	19
ოსერი	12	6	1	5	14:16	19
მონაკო	12	5	2	5	11:11	17
მარსელი	12	5	2	5	13:14	17
რენი	12	5	2	5	13:22	17
ლანსი	11	3	7	1	17:9	16
ნანსი	12	5	1	6	16:9	16
ნიცა	12	4	4	4	11:13	16
ტულუზი	12	4	3	5	10:14	15
ნანტი	12	3	3	6	9:11	12
სოშო	12	3	3	6	7:13	12
აიაჩო	11	2	5	4	9:11	11
ტრუა	12	2	5	5	10:15	11
სტრასბური	12	0	6	6	5:13	6
მეცი	12	0	4	8	4:22	4

ᲤᲐᲑᲘᲝ ᲙᲐᲞᲔᲚᲝ: ᲯᲔᲠ ᲛᲝᲕᲘᲒᲝᲗ, ᲛᲔᲠᲔ ᲓᲐᲕᲗᲕᲐᲚᲝᲗ



ფაბიო კაპელოს აზრით, სანამ „იუვენტუსი“ სკუდეტოს არ გაინაღდებს, წარმატებებსა და რეკორდებზე საუბარი სისულელეა: „რა აზრი აქვს იმაზე საუბარს, რამდენი შეხვედრიდან რამდენი მოვიგეთ? ფაქტია, რომ სხვაობა ჩვენსა და „მილანს“ შორის არ იზრდება. ეს ყველაფერი მეორეხარისხოვანია და თუ ჩემპიონატს მოვიგებთ, მხოლოდ მაშინ ექნება აზრი. მაგალითად, „ლეჩესთან“ სამი გოლი გავიტანეთ, მაგრამ ბურთებში სხვაობა მხოლოდ ქულების თანაბრობის შემთხვევაში იქნება მნიშვნელოვანი. ახლა მთავარია, წყნარად გავაგრძელოთ დაწყებული კამპანია და რეკორდებსა და სხვა „აქსესუარებზე“ ნაკლებად ვიფიქროთ“.

ᲩᲔᲛᲠᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ სტარტზე ზედიზედ რვა შეხვედრის მოგება „შავთეთრებმა“ აქამდე ორჯერ მოახერხეს: 1930-31 და 1985-86 წლების სეზონში. კითხვაზე რა საერთოს ხედავს „გენერალი“ მის გუნდსა და „ტრაპის“ ოთხმოციანი წლების „იუვეს“ შორის, იგი ასე პასუხობს:

„ვერაფერს. მას შემდეგ ფეხბურთი კარდინალურად შეიცვალა ვინ არის ჩვენი პლატინი? არც არავინ. ჩვენ განსხვავებული გუნდი გვყავს და სულ სხვა სტილით ვთამაშობთ. შედარებები უადგილოა“.

ამასობაში კი „იუვენტუსს“ უნიკალური შანსი ეძლევა, არსებული რეკორდი დაამხოს, თუ მეცხრე თამაშსაც მოიგებს ოთხშაბათს „დელე ალპიზე“ „სამპდორიასთან“.

სხვათა შორის, „იუვეს“ ასპროცენტიანი სერიები 1930-31-სა და 1985-86-შიც „ნაპოლიმ“ შეწყვიტა.

გუნდის ერთ-ერთი ლიდერის პატრიკ ვიეირას გადაბირება კი „მანჩესტერ იუნაიტედს“ სდომებია. თუმც ფეხბურთელის აგენტმა განაცხადა, რომ მის კლიენტს ამის არანაირი სურვილი არა აქვს.

„მანჩესტერ იუნაიტედის“ ვიეირას მიმართ სერიოზულმა ინტერესმა ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია საფეხბურთო სამყაროში. მართლაც, ფრანგი სულ ერთი თვეა, რაც „არსენალიდან“ ტურინში გადაბარგდა, მაგრამ ჯერ ჯერჯისმა მედიაში აგორებული ჭორები გააქარწყლა: „ამგვარი სისულელების კითხვაზე დროს ნუ დაკარგავთ. პატრიკი იტალიაშია და თავისი მდგომარეობით კმაყოფილია“.

„მილანის“ ყოფილი მოთამაშე იტალიაში ალბიონიდან აგვისტოში დაბრუნდა მას შემდეგ, რაც „იუვეს“ ბოსებმა „არსენალს“ თოთხმეტი მილიონი გირვანქა ჩაუთვალეს. იგი უპრობლემოდ ჩაჯდა ძირითად შემადგენლობაში და ადგილი ნახევარდაცვაში ემერსონის გვერდით დაიკავა. ფაბიო კაპელოს კი მათი ტანდემი მსოფლიოში საუკეთესო მიაჩნია.

ამჟამად ფრანგი, რომელმაც სერია A-ში უკვე სამი გოლის გატანა მოასწრო, დაშავებულია, მაგრამ კვირას „მილანის“ წინააღმდეგ „სან სიროზე“ თამაშს აპირებს.

ზლატან იბრაჰიმოვიჩმა კი როგორც იქნა, ნავსი გატეხა და „ლეჩესთან“ მატჩში თავისი პირველი ბურთი შეაგდო ამ ჩემპიონატში.

„ამას ველოდები მას მერე, რაც ჩემპიონატი დაიწყო. თუმც ის, რომ ყველა თამაში მოვიგეთ, უფრო მნიშვნელოვანია. ახლა მთლიანად „სამპდორიასთან“ გასამართ შეხვედრაზე ვართ გადართულნი. რთული მატჩი იქნება. შარშან მათთან წავაგეთ, თუმც ეს ალბათ დამატებით სტიმულს მოგვცემს“ — განაცხადა შვედმა.

„ლეჩესთან“ მატჩში მან უმნიშვნელო ტრავმა მიიღო. თუმც „სამპდორიასთან“ ალბათ მაინც ითამაშებს.

„ფეხი მტკივა, მაგრამ არა მგონია, ეს დიდი პრობლემა იყოს. თუ მთამაშეს, თავს არ დავზოგავ. რაც შეეხება კლუბთან 2010-მდე კონტრაქტის გაგრძელებას, ვერაფერს გეტყვით. ამჟამად 2008-მდე ვარ დაკავშირებული და ეს სრულიად მაკმაყოფილებს.“ ესეც იბრაჰიმოვიჩის სიტყვებია.

ლუჩანო მოჯიმ კი თქვა, რომ იბრაჰიმოვიჩთან კონტრაქტის გაგრძელებას ლამობს: „ზლატანი ხელშეუხებელია. რა თქმა უნდა, შევეცდებით, აუცილებლად გავუხანგრძივოთ კონტრაქტი, მაგრამ ამ ეტაპზე საჩქარო არაფერია“.

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲒᲝᲪᲘᲠᲘᲫᲔ

რომაული ზავი
მშობიაროობა გაჭიანურდა

იტალია

სერია A. VIII ტური

რომა 1:1 ლაციო

1:0 ტოტი (40), 1:1 როკი (57)

რომა: დონი, პანუჩი, კოტა, კუფური, კუფრე, დე როსი, პეროტა (დაკური 64), მასინი, ტოტი, ტადეი, მონტელა (ნონდა 82)

მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი

ლაციო: ბალოტა, სივილია, კრიბარი, ოდო, ძაური, ბეხრამი, ფირმანი (დაბო 56), ლივერანი, სეზარი (მანფრედინი 65), დი კანიო (პანდევი 78), როკი

მწვრთნელი: დელი როსი

გაფრთხილება: პეროტა, დე როსი, ფირმანი, კუფრე, დი კანიო

მსაჯი: პაპარესტა

65 000 მაყურებელი



AFP რომიდან

ფრანჩესკო ტოტიმ ანგარიში ეფექტური დარტყმით გახსნა

მოლით, ამჯერად ტრადიციულ შესავალს გვერდი ავუაროთ და პირდაპირ საქმეზე გადავიდეთ. განა „რომასა“ და „ლაციოს“ მატჩს ზედმეტი კომენტარები სჭირდება? ვფიქრობ, არა.

„ლაციო“ დღეს შედარებით უკეთეს ფორმაშია და სპეციალისტებმაც მატჩამდე „ბიანკოჩელესტის“ შანსები ცოტა უფრო მეტად შეაფასეს. ამით შეგულიანებულმა ლაციოელებმა უფრო თამამად დაიწყეს და უკვე 30-ე წამზე აღმოჩნდნენ მეტოქის საჯარიმოსთან, თუმც „რომა“ არ დაბნეულა და არც მათ ახალბედა გოლკიპერ დონის შეშლია რამე. „გლადიატორთა“ თავკაც ლუჩანო სპალეტის გადაწყვეტილებით, ბრაზილიელის დებიუტი სერია **A**-ში სწორედ ამ პრინციპულ შეხვედრაში შედგა და დონიმაც თავი არ შეირცხვინა.

„ლაციოს“ კარში მარკო ბალოტას გამოჩენასაც არ ველოდით, თუმც მატეო სერენი ტრავმირებულია, ხოლო ანჯელო პერუცი ვარჯიშისას დაშავდა და 41 წლის ვეტერანსაც დედაქალაქური დერბისკენ გზა გაეხსნა, რამაც კიდევ ერთხელ დაგვანახვა, რომ ბოლო დროს სათადარიგოთა სკამთან დამეგობრებულ ბალოტას ძველი ხელობა სრულებით არ დავიწყებია. იგი პირველად მე-12 წუთზე შეაწუხეს, მაგრამ ფრანჩესკო ტოტისა და როდრიგო ტადეის მცდელობამ შედეგი არ გამოიღო. ცოტა ხანში კი ბალოტას დანიელე დე როსის დარტყმის მოგერიება მოუხდა.

მერე ისევ „ლაციოს“ ჯერი დადგა. მთელი მატჩის მანძილზე კარგად მოთამაშე ფაბიო ლივერანიმ სახიფათო საჯარიმო დარტყმით „სტადიო ოლიმპიკოზე“ მისული 65 ათასი ქომაგი ფეხზე წამოყარა, მაგრამ ბურთი ოდნავ ასცდა კარს.

ტაიმის შუაწელს ვითარება დაიძაბა და მას მერე ტრადიციული კინკლაობები, გაწევ-გამოწევა და მსაჯთან კამათი მრავლად იყო. ამას კი პროვოცირება მსაჯების გადაწყვეტილებამ გაუწია — „ლაციო“ წინ გავიდოდა, მათ პაოლო და კანიოს მხრიდან კრისტიან კივუზე ჯარიმა რომ არ დაედოთ. თუმც ლაინსმენები და მთავარი არბიტრი არ შემცდარა.

მთავარი მსაჯი კი ჯანლუკა პაპარესტა გახლდათ. მან ამ მძიმე ამოცანას თავი მშვენივრად გაართვა. ყვითელი ბარათებიც შედარებით ნაკლებად არიგა და მატჩის სადავეები ხელიდან არ გაქცევია. მიუხედავად ამისა, გულშემატკივართა რისხვას ვერ გადაუჩრა. მას ხან ბოოლებს ესროდნენ, ხანაც მონეტებს. ქომაგები ტრადიციულად აგრესიულნი იყვნენ და სხვადასხვა საგნებით „ამშვენებდნენ“ მინდორს, მაშხალებზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

მეტოქეებმა რამდენიმე იერიში გაცვალეს და მე-40 წუთზე ანგარიშიც გაიხსნა. ტადეის პასით ტოტიმ კიდევ ერთხელ გვაჩვენა, რომ შესაშური ტექნიკის პატრონია და ბურთი ბალოტას თავზე გადაავლო, რის მერეც ფეხმძიმე ცოლის სატელევიზიოდ ოდი მაისურას ქვეშ ამოიღო და გოლი ასე აღნიშნა. მოგეხსენებათ, „რომას“ კაპიტანი და მისი მეუღლე ილარი ბლაზი პირველ შვილს დღე-დღეზე ელოდებიან.

ამან, ცხადია, უფრო გაანერვიულა „ლაციოს“ კაპიტანი პაოლო დი კანიო. ცოტა ხანში იგი ამატინა მანსინის ეცა, მაგრამ კრისტიან პანუჩიმ დაძაბულობა განმუხტა.

შესვენებამდე დელიო როსის ბიჭებმა მეტოქე ორჯერ შეაწუხეს. ჯერ მასიმო ოდომ საჯარიმოდან კინაღამ შეაგდო, შემდეგ კი დი კანიოს ცოტა დააკლდა, რომ იმავე ოდოს კროსისთვის ფეხი დაეხვედრებინა.

მეორე ნახევარი უფრო აქტიურად „რომამ“ დაიწყო, მაგრამ „ლაციო“ გონს მალევე მოეგო და ნელ-ნელა ინიციატივაც ხელთ იგდო. დელიო როსიმ შეტევების გასახალისებლად ფირმანის ნაცვლად მინდორზე ოსმან დაბი შეუშვა, რამაც გაამართლა კიდეც.

წონასწორობა 58-ე წუთზე აღდგა, როდესაც სეზარის ჩაწოდებულ ბურთს კრისტიან კივუსთან ორთაბრძოლაში ტომაზო როკიმ თავი შეაგება და დონიც უქმად დატოვა.

„ბიანკოჩელესტის“ სულ ცოტა ხანში წინ გასვლაც შეეძლო. სახიფათო მომენტი კვლავ სეზარის კროსს მოჰყვა, მაგრამ ბეხრამის თავური ოდნავ არაზუსტი გახლდათ.

მცირე დაბნეულობის შემდეგ „ჯალოროსი“ ისევ ძველებურად შეუდგა საქმეს და ერთი ხანობა მეტოქე საკუთარ საჯარიმოსაც მიაჯაჭვა, მაგრამ საგოლე მომენტამდე საქმე არ მისულა.

პაოლო დი კანიო კი ისევ ნერვიულობდა. ერთ ეპიზოდში, როდესაც იგი ჯანლუკა პაპარესტასთან მივარდა და კამათი დაუწყო, მსაჯს მონეტა მოარტყეს. პატარა პაუზის მერე პაპარესტამ მატჩი განაგრძო და ფეხბურთელების დაწყნარებაც შეძლო. ამას ხელი პაოლო დი კანიოს მინდვრიდან გასვლამაც შეუწყო. 78-ე წუთზე ემოციებით სავსე ვეტერანი გორან პანდევმა შეცვალა.

ბოლო ათმა წუთმა ძალიან დაძაბულად და საინტერესოდ ჩაიარა. უპირატესობა „რომას“ ჰქონდა და მოგებაც შეეძლო. ყველაზე კარგი შანსი უკანასკნელ წამებზე შაბანი ნონდამ გაუშვა ხელიდან. ულიმლამდე მოთამაშე ვინჩენცო მონტელას ნაცვლად მინდორზე შესულმა ფორვარდმა სამი მცველი ოსტატურად კი ჩამოიტოვა, მაგრამ ბალოტასთან პირისპირ დარჩენილმა ბურთი კარს გადაცილა და ცოტა ხანში კიდევ ერთი რომაული დერბი ჩაბარდა წარსულს. ჯანლუკა პაპარესტამ მატჩი დასრულა. მინცდამინც უკმაყოფილო არც ერთი მხარე არ ჩანდა, მაგრამ „რომას“ მოთამაშეები მაინც წუწუნებდნენ. ქომაგებს კი ამ მშვენიერი მატჩის ხილვის შემდეგ უკმაყოფილების საფუძველი არც ჰქონიათ.

„რომას“ თავკაცი ლუჩანო სპალეტი: „კარგად ვითამაშეთ. გამიხარდა, რომ ჩემი გუნდი ისევ ასეთი მოტივირებული და დალაგებული ვიხილე. თუმც შეცდომები მაინც დავუშვით. ერთ-ერთ მათგანს კი გოლი მოჰყვა. არადა, მომენტები მრავლად გვქონდა და უნდა მოგვეგო კიდეც. ცოტა ხნის წინ უეფას თასზე მოგვიხდა რთული მატჩის გადატანა ლა რაბ�და ძოთამაშე გადაღლილი იყო, მაგრამ „ლაციოს“ დაბალანსებულ ფეხბურთელებს ტოტი არ ... ასევე აღვნიშნო დონის მშვენიერი დებიუტი“.

განსაკუთრებით აგრესიულნი, ტრადიციულად „რომას“ „ულტრასები“ იყვნენ. სპალეტის ამბავიც ასეთი ხმა: „ასეთ დროს ქალაქში ყველა ქომაგი განერვიულობულია, თუმც ზოგიერთი მათგანი სამარცხვინო საქციელს სჩადის და ხალხს გვიტეხს. ჯანლუკა პაპარესტა მინდორზე ერთ-ერთი საუკეთესო იყო, მან ღირსეულად ამსაჯა და აგრესიას არ იმსახურებდა“.

„პირველი ტაიმი შედარებით უკეთ ჩავატარეთ — თქვა „ლაციოს“ მთავარმა მწვრთნელმა დელიო როსიმ — მეორეში „რომამ“ მეტი პრობლემა შეგვიქმნა, მაგრამ ნახევარდაცვაში კარგი თამაშით ვითარება დავაბალანსეთ. ვფიქრობ, უფრო თავდაჯერებულნი რომ ყოფილიყვნენ, მოგებაც შეგვეძლო. მეტოქის მხრიდან, ცხადია, ფრანჩესკო ტოტის გამოვარჩევ. ნეტარებას კი ფაბიო ლივერანის. რიგა ბერეთი მის ხელთაა, საოცრად ჩვენებურად თამაშობს“.

პაოლო დი კანიო: „ჩვენ მუდამ მოგება გვინდა და დავამტკიცებთ, რომ ეს ყოველთვის შეგვიძლია. გუნდის საბრძოლო სული უკვლავია და ქომაგების მხარდაჭერით ნებისმიერ მეტოქეს დავამარცხებთ. რაც არ უნდა გვიჭირდეს. რაც შეეხება ტომაზო როკის, იგი ნიჭიერია ფეხბურთელი და უკვე „ლაციოს“ ნამდვილი არწივია. იმედია, ჩვენთან დიდი ხანი დარჩება“.

„მჯერიდა, რომ გოლს გავიტანდი და მინდოდა ეგი ჩემი ძეულლისთვის და ჩვენი მომავალი შვილისთვის მიმეძღვნა. უშუალოდ მატჩი კი უსამართლო შედეგით დასრულდა. ჩვენ აშკარად უკეთ ვთამაშეთ და მოგების ღირსეულ ბდით“ — აღნიშნა ტოტიმ.

ბოლოს კი „რომას“ ხანგრძლივის მეუღლის ილარი ბლაზისაც მივუსმინოთ, რომელმაც ასე გაიხუმრა: „ფრანჩესკომ მშობიაობა დამასწრო. გოლის ასე აღნიშვნა ჩემთვის ძალიან სასიამოვნო სიურპრიზი იყო. თუმც მხოლოდ ჩვენი შვილი გადაწყვეტს, როდის მოვევლინება ქვეყანას“.

ერთი სიტყვით, საბრძოლო ფრე და კიდევ ერთი სასიამოვნო მატჩი ფეხბურთის მოყვარულებისთვის. მომავალ დერბიმდე იქ, სადაც ყველა გზა მიდის...

კოკი კანდელაკი



AFP რომიდან

მინდორზე ნასროლი ერთ-ერთი ბოთლი მსაჯს კინაღამ თავში მოხვდა

ჯანლუკა პაპარესტამ კაპიტანთა დავაში პაოლო დი კანიო გაამტყუნა

სამხრეთული სამშაბათი

ლადო ხოფერია

მეგოლე კალდერას სინანული



ხოსე ლუის კალდერონი

არგენტინა

აპერტურა. XII ტური

ესტუდიანტესი 3:1 არსენალი

1:0, 2:0 კალდერონი (4, 25), 2:1 ესმერადო (55), 3:1 სოსა (66)

ლანუსი 0:2 ტირო ფედერალი

0:1 აკინო (29ჯ), 0:2 კამპორა (68)

ოლიმპო 2:2 ბანფილდი

0:1 მენდოსა (17), 1:1 მაჯოლო (32), 1:2 პალეტა (46), 2:2 ლეივა (64ს.ჯ.)

გაძევება: გალვანი (69, ბანფილდი)

ინდეპენდიენტე 1:1 კოლონი

0:1 ფუერტესი (46), 1:1 აგერო (48)

ხულიო ფალკიონის „ინდეპენდიენტემ" აპერტურას მე-12 ტურში მაჩანჩალა „კოლონის" დამარცხება ვერ შეძლო. უღიმღამო პირველი ტაიმის შემდეგ ანგარიში სტუმრებმა გახსნეს, თუმც დამხვდურთა ნორჩმა ვარსკვლავმა აგერომ საპასუხო ბურთი ორ წუთში გაიტანა. ეს იყო და ეს, „დობლე ვისერაზე" შეკრებილმა ინჩასობამ ამის მეტი ვერც გოლები ნახა და ვერც ლამაზი ბურთაობით გაახილა თვალი.

აველანედას მატჩი სწრაფ ტემპში დაიწყო, მაგრამ მალე იქ ყველაფერი ჩაკვდა და ორივე გუნდის მოთამაშეები თვლემას მიეცნენ. ერთადერთი, ვინც გულშემატკივარს ახარებდა, სერხიო აგერო იყო, „ინდეპენდიენტას" მოიერიშე. თავდასხმაში სერხიოს მეწყვილე ბუსტოს მონტოიაც ბევრს ცდილობდა, თუმც 37-ე წუთზე ტრავმა მიიღო და კოჭლობით გავიდა მოედნიდან...

აშკარაა, რომ ბელგიურ „ანდერლეხტში" გადაბარგებულ ფრუტოსს „ინდეპენდიენტე" კარგა ხანს სინანულით გაიხსენებს... მასპინძლებს გოლის გატანა 27-ე წუთზე შეეძლოთ — ბოლივიელმა ლორიო ალვარესმა ახლო მანძილიდან გაისროლა, ოღონდ ტომბოლინის კარს მცირედით ააცილა.

შესვენებიდან დაახლოებით ერთი წუთი იქნებოდა გასული, როცა „კოლონის" კანგელე-ფუერტესის კომბინაცია სწრაფი გოლით დასრულდა. დამხვდურები ოდნავ გამოფხიზლდნენ, გაიბრძოლეს და აგერომ ტაბლოზე თანაფარდობა აღადგინა. „ოქროს ბიჭუნამ" ფუერტესის გოლიდან მცირე ხანში ჯადოსნური ფინტაობით ალსიდეს პიკოლის და მეკარე ტომბოლინის უდარდელად აუარა გვერდი. სტადიონზე მოსულ ფანობას იმედი მიეცა, კაი ფეხბურთს ამის შემდეგ მაინც ვნახავთო, თუმც უშედეგოდ, მარიანო ერონის ერთი და ისიც ძელს და ჭედებული ბურთიღა იხილეს. საბოლოოდ 1:1 და „ინდეპენდიენტე" 20 ქულით ცხრილის მეოთხე ადგილზეა.

პატაგონიელთა უმაღლეს დივიზიონში წლეულს გადმობარგებული „ტირო ფედერალი" „ლანუსს" ესტუმრა და როდოლფო აკინოსა და ხავიერ კამპორას გოლების წყალობით 0:2 გაიმარჯვა. „ტირომ" აპერტურაში თავისი რიგით მეორე მატჩი მიიგო — წინა ტურში ჩემპიონატის აუტსაიდერებმა შინ „როსარიო სენტრალი" დამარცხეს. მიუხედავად იმისა, რომ ხორხე ვივალდო, დამხვდურთა მეკარე, ცუდად არ ბურთაობდა, „ლანუსმა" მეტოქის მოიერიშეების შეჩერება ვერ შეძლო.

აკინომ 28-ე წუთზე პენალტით გაიტანა, ხოლო მეორე ტაიმში გამარჯვების გოლი კამპორას ანგარიშზეა. მასპინძელთა ფანები არ ელოდნენ, რომ წყალწაღებულ გუნდთან კისერს მოიტეხდნენ და ძალიან განრისხდნენ, მატჩის მიწურულს „ლანუსის" მწვრთნელ გოროსიტოს და მის ფეხბურთელებს ბოთლების კორიენტალი დააყარეს.

„ოლიმპო-ბანფილდის" ჯახი გოლუხვი ეი გამოდგა, მაგრამ მაინც-დამაინც თავი არ მოუკლავთ. თამაშის დაწყება 40 წუთით დაგვიანდა, „ოლმპოს" არენაზე განათება ჩაუქრათ და... მოკლედ, კარგა ხნის ხლაფორთის მერე ფეხბურთელები მოედანზე გამოვიდნენ და ოთხი გოლი გაიტანეს. სტუმართაგან კარლოს როპის კარები ფრანკო მენდოსამ და გაბრიელ პალეტამ შელეწეს, დამხვდურთაგან კი ეზეკიელ მაჯოლომ შეაგდო (კრისტიან ლეივამ თავისი კარი დალაშქრა). 19 ქულით „ბანფილდი" და „ოლიმპო" მეხუთე-მეშვიდე პოზიციებზე არიან.

სარანდის „არსენალი" „ესტუდიანტესის" გოლეადას შეეწირა. „სტუდენტებმა" არგენტინელი „მეთოფეების" განადგურება უკვე მეოთხე წუთზე დაიწყეს — ფერნანდო ორტისის ჩაწოდებას ხოსე ლუის კალდერონმა მიუსწრო და 1:0-იც მოინადირა. მე-19 წუთზე „არსენალის" საჯარიმოში მარიანო პავონი წააქციეს, ოღონდ არბიტრმა ანხელ სანჩესმა პენალტი არ დანიშნა, 25-ე წუთზე მარსელო კაპრუსკას საჯარიმო დარტყმის მერე თავი ისევ კალდერონმა გამოიჩინა და კარიერაში რიგით 104-ე ბურთი შეაგდო. გახარებულმა ხოსემ გოლის აღსანიშნავად კარგა ხანს აკეთა მალაყები მოედანზე, თუმცა მერე ისიც გაახსენდა, თავის დროზე „არსენალის" ფეხბურთელი რომ იყო...

„მსურს, ჩემს ძველ კლუბს პატივება ვთხოვო. არავის გულისტკენა არ მინდოდა" — განაცხადა ვალდერონმა შეხვედრის შემდეგ.

იქამდე კი, მეორე ტაიმში, მეტოქეებმა თითო-თითო ბურთი კიდევ დაიტანეს — „ესტუდიანტესიდან" ხოსე სოსამ, „არსენალიდან" კი გასტონ ესმერადომ. მეთოფე გაუჩინეს სტუდენტებთან წაგებით მეთორმეტე ადგილზე დაქვეითდნენ.

ბოკა ხუნიორსი	11	7	3	1	23:8	24
გლუს სარსფელდი	11	7	2	2	16:6	23
არგ. ხუნიორსი	11	6	3	2	12:7	21
ინდეპენდიენტე	12	5	5	2	21:14	20
ბანფილდი	12	4	7	1	16:11	19
ესტუდიანტესი	12	6	1	5	15:12	19
ოლიმპო	12	4	7	1	14:11	19
ხიმნასია ლა პლატა	11	6	1	4	14:14	19
სან ლორენსო	11	4	4	3	18:16	16
როსარიო	10	4	3	3	13:14	15
რივერ პლეიტი	11	4	2	5	12:13	14
არსენალი	12	3	5	4	12:14	14
ლანუსი	12	3	5	4	11:17	14
ხიმნასია ლა ხუხუი	11	2	5	4	13:16	11
რასინგი	11	3	2	6	12:16	11
ინსტიტუტო	11	2	5	4	6:11	11
კილმესი	11	2	4	5	11:16	10
კოლონი	12	2	4	6	15:22	10
ოლდ ბოისი	11	2	3	6	11:18	9
ტირო ფედერალი	11	1	1	9	8:17	4

ფრუტოსმა ბელგიას მიაკითხა

ნიკოლას ფრუტოსი, არგენტინის წლევანდელი ჩემპიონატის მთავარმეგოლე, ამიერიდან ბელგიური „ანდერლეხტის" ფეხბურთელი გახდება. „ინდეპენდიენტეს" აწ უკვე ყოფილმა მოიერიშემ ევროპულ კლუბთან საკონტრაქტო ხელშეკრულება გუშინ გააფორმა. ფრუტორი ახალ კლუბში 2006 წლის იანვრამდე ვერ ითამაშებს, თუმც მეტოქეებს ვერც „ინდეპენდიენტეს" ჭახჭახა ალისფერი მაისურით ააწიოკებს. საქმე ის გახლავთ, რომ „ანდერლეხტის" თავკაცობამ ფეხბურთელს სთხოვა, პატაგონიურ ლიგაში აღარ იბურთაოს, ეშინიათ, ტრავმა არ მიიღოს.

„არგენტინაში თამაშს მაინც ვერ შევძლებდი. წარმოიდგინეთ ფეხბურთელი, რომელიც ერთ გუნდში თამაშობს და ამ დროს მეორეზე ფიქრობს. ეს საკმაოდ ძნელია და მეც ზამთრამდე გაჩერება ვარჩიე" — განაცხადა თავად ნიკოლას ფრუტისმა.

ამასობაში „ინდეპენდიენტეს" მწვრთნელი დროს არ კარგავს და მეგოლის შემცვლელს დაეძებს. თავკაცის არჩევანი ან სესარ პერეირაზე, ედუარდო ბუსტოს მონტოიაზე ან ხერემიას კაიანოზე შეჩერდება.

მსოფლიო ახალ ჯადოქარს ელის

ხოსე მარია ბულხუბაშიჩი

ჩილეს „უნივერსიდად კატოლიკას" 34 წლის გოლკიპერმა ხოსე მარია ბულხუბაშიჩმა „მელიპილიასთან" შეხვედრაში კარი მშრალად შეინახა და თავისი რეკორდი გააუმჯობესა — ზუსტად 1233 სათამაშო წუთია, ადგილობრივ ჩემპიონატში მეტოქეებს „მაგიურ ხოსესთვის" გოლი ვერ გაუტანიათ.

„არანიარ ჯადოს არ ვფლობ. უბრალოდ, მინდა ჩემი საქმე კარგად გავაკეთო და საბედნიეროდ ეს აქამდე იღბლიანად გამომდის" — აღნიშნა მეკარემ მედიასთან საუბარში.

ვეტერან კარის მცველს აპერტურას მეთოთხმეტე ტურის მერე ჟურნალისტებმა „ჯადოქარი" შეარქვეს, — „მელიპილიას" ფორვარდებს ხოსემ ისეთი ბურთები აუღო, ამას მარტო ეშმაკთან წილნაყარი კაცი თუ მოახერხებდაო, წერდა ერთ-ერთი იქაური გაზეთ ბნელ ძალებთან კავშირისა რა მოგახსენოთ და, ბულხუბაშიჩმა მომდევნო ჯახშიც თუ უგოლოდ „გაძლო", მსოფლიოს აუღებელ გოლკიპერთა ათეულში გადაინაცვლებს.

მოგახსენებთ, რომ კარის მშრალად შენახვის რეკორდი ბრაზილიელ მასაროპის ეკუთვნის. ამ მართლაც და მაგმა და ჯადოქარმა შინაურ პირველობაზე გოლი 1816 სათამაშო წუთის განმავლობაში არ გაუშვა. ხოსე მარია ბულხუბაშიჩი კი ტომით არგენტინელია და „უნივერსიდად კატოლიკამდე", „როსარიო სენტრალის", „ტენერიფეს", „ლანდას", „ოვიედოსა" და „ლოს ანდესის" მეკარე იყო.

მარადონა, არგენტინის ნაკრების მწვრთნელი...

ერთ-ორ წელიწადში შეიძლება დიეგო მარადონა არგენტინის ნაკრების დამრიგებლად ვიხილოთ. გუშინ პატაგონიური „კლარინის" ჟურნალისტები იქაურთა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ხულიო გრონდონას დიდი დიეგოს შესაძლო გამწვრთნელებაზე გაესაუბრნენ.

„მე მარადონას არგენტინის ნაკრებში მოსვლას არ გამოვრიცხავ. მალე დადგება დრო, როცა ეროვნული გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატზე დიეგოს თავკაცობით იბურთავებს" — აღნიშნა გრონდონამ მედიასთან შეხვედრისას.

პრეზიდენტის აზრით, მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდა თავის გამოცდილებას ნაკრებს მოახმარს და „ალბისელესტეც" დიეგო არმანდოს დამრიგებლობით კმაყოფილი დარჩება.

„მგონი, არავინ გაიკვირვებს, გასაგები რომ ნაკრები „პელუსას" ჩაბარონ. მარადონა ღირსეული მწვრთნელი იქნება" — თქვა სენიორ ხულიო გრონდენამ.

ლეგენდარულმა დიეგო არმანდომ ფეხბურთელობის ჟამს ეროვნულ გუნდთან ერთად 1986 წლის მუნდიალზე ოქრო, ხოლო ოთხი წლის შემდეგ „ოდენ" ვერცხლი მოიგო. არგენტინელმა ბედი აშშ-ის მსოფლიოს ჩემპიონატზეც სცადა, თუმც დოპინგთან დაკავშირებული სკანდალის გამო ნაკრების უიღბლოდ დატოვება მოუხდა. დღეს მარადონა პატაგონიური გრანდ კლუბის, „ბოკა ხუნიორსის" ვიცე-პრეზიდენტი გახლავთ.

სარბიელი და კროკი

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. I ლიგა						
		25 ოქტომბერი						
22:45	26	როტერჰემი-ბარნსლი	2.25	3.20	2.85	1.32	1.25	1.50
		26 ოქტომბერი						
22:30	27	ჩესტერფილდი-ბრისტოლი	2.25	3.30	2.75	1.33	1.23	1.50
		ინგლისი. II ლიგა						
		25 ოქტომბერი						
22:45	40	პიტერბრო-რექსემი	2.00	3.30	3.20	1.24	1.23	1.62
		შოტლანდია. პრემიერლიგა						
		25 ოქტომბერი						
22:45	64	აბერდინი-დანდი იუნაიტედი	1.95	3.20	3.40	1.21	1.23	1.64
		26 ოქტომბერი						
22:45	65	სელტიკი-მოზერუელი	1.20	5.50	10.00	1.00	1.07	3.54
22:45	66	სელტიკი-მოზერუელი 0:1	1.45	4.80	4.00			
22:45	67	დანფერმლაინი-ჰიბერნიანი	3.40	3.30	1.90	1.67	1.21	1.20
22:45	68	ჰართსი-კილმარნოკი	1.35	4.20	7.50	1.02	1.14	2.69
22:45	69	ინვერნესი-ფოლკირკი	1.85	3.30	3.70	1.18	1.23	1.74
22:45	70	ლივინგსტონი-რეინჯერსი	10.00	5.50	1.20	3.54	1.07	1.00
22:45	71	ლივინგსტონი-რეინჯერსი 1:0	4.00	4.60	1.45			
		შოტლანდია. I დივიზიონი						
		25 ოქტომბერი						
22:30	78	ბრეჩინი-ქუინი	2.35	3.40	2.50	1.38	1.21	1.44
22:45	79	სტ.ჯონსტონი-ჰამილტონი	2.10	3.30	3.00	1.28	1.23	1.57
22:30	80	სტრანრარი-სტ.მირენი	3.50	3.40	1.85	1.72	1.21	1.19
		26 ოქტომბერი						
22:45	81	დანდი-კლაიდი	1.70	3.60	4.00	1.15	1.19	1.89
		შოტლანდია. II დივიზიონი						
		25 ოქტომბერი						
22:45	87	ალოა-დამბარტონი	2.15	3.50	2.70	1.33	1.19	1.52
22:45	88	ერეტნა-რეითი	1.30	4.40	7.50	1.00	1.10	2.77
22:30	89	მორტონი-სტირლინგი	1.25	4.80	8.50	1.00	1.08	3.06
22:30	90	პარტიკი-პიტერჰედი	1.45	3.90	5.40	1.05	1.14	2.26
		შოტლანდია. III დივიზიონი						
		25 ოქტომბერი						
22:30	97	ალბიონი-მონტროუზი	2.35	3.50	2.40	1.40	1.18	1.42
22:30	98	ისტ სტირლინგი-ბერიკი	6.70	4.50	1.30	2.69	1.08	1.00
22:30	99	ელგინი-სტენჰაუზმური	4.80	4.00	1.50	2.18	1.14	1.09
22:30	100	ქუინზ პარკი-კოუდენბითი	2.80	3.50	2.05	1.55	1.18	1.29
		ავსტრია. ბუნდესლიგა						
		25 ოქტომბერი						
21:30	144	რაპიდი-ვრაცერი	1.80	3.40	4.00	1.17	1.24	1.83
		26 ოქტომბერი						
21:30	143	ადმირა-პაშინგი	2.85	3.20	2.25	1.50	1.25	1.32
21:30	145	რიდი-მატერსბურგი	1.90	3.20	3.80	1.19	1.26	1.73
21:30	146	შტურმი-აუსტრია	2.70	3.20	2.40	1.46	1.27	1.37
21:30	147	ტიროლი-ზალცბურგი	3.80	3.20	1.90	1.73	1.26	1.19
		ავსტრია. I დივიზიონი						
		28 ოქტომბერი						
21:00	153	ალტახი-აუსტრია(ლ)	2.20	3.10	2.90	1.28	1.25	1.49
21:00	154	აუსტრია(მ)-ლინცერი	1.95	3.20	3.40	1.21	1.23	1.64
21:00	155	კაფენბერგი-ვრატკორნი	1.90	3.20	3.40	1.19	1.21	1.64
21:00	156	კუფშტაინი-კერნტენი	3.60	3.20	1.85	1.69	1.22	1.17
21:00	157	შვანენშტადტი-ლეობენი	1.80	3.20	3.90	1.15	1.23	1.75
		იტალია. სერია A						
		26 ოქტომბერი						
22:30	173	ასკოლი-უდინეზე	3.20	3.10	2.20	1.57	1.30	1.28
22:30	174	კალიარი-ლივორნო	2.20	3.10	3.20	1.28	1.30	1.57
22:30	175	ემპოლი-მილანი	6.50	3.40	1.55	2.23	1.25	1.06
22:30	176	ემპოლი-მილანი 1:0	3.10	3.00	2.10			
22:30	177	ინტერი-რომა	1.65	3.30	5.10	1.10	1.24	2.00
22:30	178	იუვენტუსი-სამპდორია	1.40	3.70	8.00	1.01	1.19	2.52
22:30	179	იუვენტუსი-სამპდორია 0:1	1.95	3.40	3.00			
22:30	180	ლაციო-კიევო	1.90	3.30	3.80	1.20	1.26	1.76
22:30	181	პალერმო-ლეჩე	1.60	3.30	5.60	1.07	1.24	2.07
22:30	182	პარმა-მესინა	1.95	3.20	3.80	1.21	1.28	1.73
22:30	183	რეჯინა-ტრევიზო	1.80	3.10	4.70	1.13	1.30	1.86
22:30	184	სიენა-ფიორენტინა	2.90	3.10	2.35	1.49	1.29	1.33
		იტალია. სერია B						
		25 ოქტომბერი						
22:30	196	არეცო-აველინო	1.70	3.00	4.80	1.08	1.25	1.84
22:30	197	ატალანტა-ბოლონია	2.15	2.90	3.30	1.23	1.30	1.54
22:30	198	ბარი-ვიჩენცა	1.80	3.00	4.10	1.12	1.25	1.73
22:30	199	კატანძარო-ბრეშა	2.90	2.90	2.35	1.45	1.29	1.29
22:30	200	ჩეზენა-კროტონე	1.90	2.90	4.00	1.14	1.28	1.68
22:30	201	მოდენა-კრემონეზე	1.40	4.20	6.00	1.04	1.13	2.47
22:30	202	პიაჩენცა-ტერნანა	1.60	3.30	5.20	1.07	1.22	2.01
22:30	203	ტრიესტინა-კატანია	2.10	2.90	3.50	1.21	1.31	1.58
22:30	204	ვერონა-ალბინოლეფე	1.80	3.10	4.20	1.13	1.25	1.78
		26 ოქტომბერი						
22:30	205	მანტოვა-ტორინო	2.30	2.80	3.10	1.26	1.32	1.47
22:30	206	პესკარა-რიმინი	2.15	2.90	3.20	1.23	1.28	1.52
		ესპანეთი. I დივიზიონი						
		26 ოქტომბერი						
22:30	221	ბარსელონა-მალაგა	1.25	5.30	9.50	1.01	1.10	3.40
22:30	222	ბარსელონა-მალაგა 0:1	1.60	4.50	3.50			
22:00	223	ბეტისი-ვილიარეალი	2.20	3.20	3.10	1.30	1.28	1.57
23:45	224	დეპორტივო-რეალი	3.00	3.20	2.25	1.54	1.28	1.32
22:00	225	მალიორკა-სელტა	2.55	3.30	2.55	1.43	1.27	1.43
22:00	226	ოსასუნა-ბილბაო	2.05	3.30	3.30	1.26	1.26	1.64
		27 ოქტომბერი						
22:00	219	ალავესი-ესპანიოლი	2.35	3.20	2.80	1.35	1.27	1.49
22:00	220	ატლეტიკო-კადისი	1.75	3.30	4.50	1.14	1.25	1.90
22:00	228	სოსიედადი-ხეტაფე	2.20	3.20	3.10	1.30	1.28	1.57
23:00	229	ვალენსია-სევილია	1.75	3.30	4.50	1.14	1.25	1.90
22:00	230	სარაგოსა-რასინგი	1.85	3.30	3.90	1.18	1.25	1.78
		დანია. სუპერლიგა						
		26 ოქტომბერი						
21:00	432	ორჰუსი-ვიბორგი	2.90	3.10	2.20	1.49	1.25	1.28
21:00	433	ჰორსენსი-სილკებორგი	2.45	3.10	2.55	1.36	1.24	1.39
21:00	434	მიდტიულანდინორდსელანდი	2.00	3.20	3.30	1.23	1.24	1.62
21:00	435	ოდენსე-ოლბორგი	2.00	3.20	3.30	1.23	1.24	1.62

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაზუსტდეთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
21:00	436	სიონდერიისკე-კოპენჰაგენი	6.50	3.80	1.45	2.39	1.18	1.04
21:00	437	სიონდერიისკე-კოპენჰაგენი 1:0	2.80	3.40	2.10			
21:00	438	ესბიერგი-ბრიონდბიუ	4.00	3.30	1.80	1.80	1.24	1.16
		ბრაზილია						
		25 ოქტომბერი						
23:45	514	კურიტიბა-კრუზეირო	2.15	3.10	2.85	1.26	1.22	1.48
23:45	515	გოიასი-ინტერნასიონალი	1.95	3.20	3.30	1.21	1.22	1.62
		26 ოქტომბერი						
23:45	516	ატლეტიკო მნ-ფორტალესა	1.80	3.20	3.80	1.15	1.22	1.73
23:45	517	პალმეირასი-ფიგეირენსე	1.45	3.80	5.50	1.04	1.14	2.24
23:45	518	ქუვენტუდი-ფლამენგო	1.65	3.40	4.30	1.11	1.19	1.89
23:45	520	ვასკუ და გამა-სანტოსი	2.25	3.00	2.80	1.28	1.24	1.44
		27 ოქტომბერი						
23:45	519	პაისანდუ-კორინთიანსი	2.75	3.10	2.25	1.45	1.23	1.30
23:45	521	ფლუმინენსე-ატლეტიკო პრ	1.80	3.30	3.60	1.16	1.20	1.72
23:45	522	პარანა-სან კაეტანო	1.65	3.40	4.40	1.11	1.20	1.91
23:45	523	პონტე პრეტა-ბოტაფოგო	1.90	3.30	3.40	1.20	1.21	1.67
23:45	524	სან პაულუ-ბრაზილენსე	1.40	3.80	6.50	1.02	1.15	2.39
		გერმანია						
		თასი						
		25 ოქტომბერი						
21:30	566	ალემანია-ჰანოვერი	2.75	3.30	2.25	1.50	1.23	1.33
21:30	567	აინტრახტი-შალკე	3.20	3.10	2.10	1.57	1.26	1.25
21:30	568	ფრაიბურგი-ბრაუნშვაიგი	1.75	3.40	4.00	1.15	1.21	1.83
21:30	569	ნიურნბერგი-დინამო	1.55	3.60	5.20	1.08	1.19	2.12
21:30	570	ერფურტი-ლაუტერნი	4.80	3.50	1.60	2.02	1.20	1.09
21:30	571	ზტ.პაული-ბოხუმი	3.70	3.20	1.85	1.71	1.23	1.17
21:30	572	უნტერჰახინგი-ზაარბრიუკენი	1.80	3.40	3.80	1.17	1.22	1.79
21:30	573	ვერდერი-ვოლფსბურგი	1.65	3.40	4.60	1.11	1.21	1.95
		26 ოქტომბერი						
21:30	574	არმინია-კოტბუსი	1.75	3.20	4.20	1.13	1.23	1.81
21:30	575	კამბურგი-ლევერკუზენი	1.75	3.40	4.00	1.15	1.21	1.83
21:30	576	ჰანზა-შტუტგარტი	3.40	3.30	1.95	1.67	1.23	1.22
21:30	577	ჰერტა-მიონხენგლადბახი	1.85	3.40	3.50	1.19	1.21	1.72
21:30	578	მიუნხენი 1860-დუისბურგი	2.20	3.20	2.85	1.30	1.24	1.50
21:30	579	ოფენბახი-კარლსრუე	2.35	3.10	2.70	1.33	1.25	1.44
21:30	580	ოსნაბრიუკი-მაინცი	3.70	3.40	1.80	1.77	1.21	1.17
22:30	581	აუე-ბაიერნი	7.00	4.20	1.35	2.62	1.13	1.02
		ინგლისი. თასი						
		25 ოქტომბერი						
22:45	582	ასტონ ვილა-ბარნლი	1.40	4.00	7.00	1.03	1.16	2.54
22:45	583	კრ. პალასი-ლივერპული	3.50	3.30	1.95	1.69	1.25	1.22
22:45	584	დონკასტერი-უილინგემი	1.80	3.40	3.90	1.17	1.23	1.81
22:45	585	ფულემი-ვესტ ბრომვიჩი	1.90	3.40	3.55	1.21	1.23	1.73
22:45	586	მენსფილდი-მილუოლი	3.10	3.20	2.05	1.57	1.23	1.24
22:45	587	სანდერლენდი-არსენალი	3.40	3.20	2.00	1.64	1.25	1.23
22:45	588	უიგანი-უოტფორდი	1.65	3.50	4.90	1.12	1.23	2.04
22:45	589	ბლეკბერნი-ლიდსი	1.65	3.40	4.70	1.11	1.22	1.97
22:45	590	რედინგი-შეფილდი	2.25	3.20	2.80	1.32	1.24	1.49
		26 ოქტომბერი						
22:45	591	ბირმინგემი-ნორვიჩი	1.65	3.40	5.00	1.11	1.24	2.02
22:45	592	კარდიფი-ლესტერი	1.95	3.40	3.50	1.23	1.25	1.72
22:45	593	ჩელსი-ჩარლტონი	1.30	4.60	8.00	1.01	1.11	2.92
22:45	594	გრიმსბი-ნიუკასლი	6.00	3.50	1.50	2.21	1.20	1.04
23:00	595	ბოლტონი-ვესტ ჰემი	2.10	3.30	3.00	1.28	1.23	1.57
23:00	596	ევერტონი-მიდლსბრო	2.25	3.30	2.75	1.33	1.23	1.50
23:00	597	მანჩესტერი-ბარნეტი	1.10	7.50	13.00	1.00	1.01	4.75
		საფრანგეთი. თასი						
		25 ოქტომბერი						
22:00	598	ლორიანი-ამიენი	1.95	2.90	4.10	1.16	1.32	1.69
23:00	599	ნანტი-ლიონი	3.10	2.90	2.25	1.49	1.30	1.26
		26 ოქტომბერი						
19:00	600	ბორდო-მარსელი	2.05	3.00	3.50	1.21	1.29	1.61

			1	X	2	1-X	1-2	X-2
19:00	601	ლე მანი-კლერმონი	1.45	3.60	6.50	1.03	1.18	2.31
22:00	602	ლავალი-გენგამი	2.10	2.90	3.40	1.21	1.29	1.56
22:00	603	ლე ავრი-ტულუზი	2.80	2.90	2.45	1.42	1.30	1.32
22:00	604	მონაკო-დიჟონი	1.35	4.00	8.50	1.00	1.16	2.72
22:00	605	ნიცა-შატორუ	1.65	3.30	5.20	1.10	1.25	2.01
23:00	606	აიაჩო-გრენობლე	1.65	3.30	5.20	1.10	1.25	2.01
23:00	607	კაენი-სტრასბური	2.80	2.90	2.45	1.42	1.30	1.32
23:00	608	ლანსი-ოსერი	2.10	2.80	3.70	1.20	1.33	1.59
23:00	609	მონპელიე-რენი	3.00	2.90	2.25	1.47	1.28	1.26
23:00	610	ნანსი-სოშო	1.90	3.00	4.00	1.16	1.28	1.71
23:00	611	პსჟ-ტრუა	1.45	3.50	8.00	1.02	1.22	2.43
23:00	612	სედანი-მეცი	2.05	2.80	3.80	1.18	1.33	1.61
23:00	613	სტ. ეტიენი-ლილი	2.05	2.80	3.80	1.18	1.33	1.61
		თურქეთი. თასი						
		25 ოქტომბერი						
21:00	927	დენიზლი-ალტაი	1.55	3.50	5.20	1.07	1.19	2.09
21:00	928	ტრაბზონი-კაისერი	1.85	3.30	3.70	1.18	1.23	1.74
		26 ოქტომბერი						
20:00	929	კონია-ბეშიქთაში	3.10	3.20	2.05	1.57	1.23	1.24
21:00	930	დიარბაქირი-მალათია	1.95	3.20	3.30	1.21	1.22	1.62
21:00	931	გაზიანთეფი-ერჯიესი	2.05	3.20	3.10	1.24	1.23	1.57
22:15	932	ანკარაგიუჯიუ-ფენერბაჰჩე	4.40	3.40	1.65	1.91	1.20	1.11
		სლოვაკეთი. თასი						
		25 ოქტომბერი						
16:00	633	რუჟომბეროკი-ტრენჩინი	1.60	3.70	4.30	1.11	1.16	1.98
		ჰოკეი. შვედეთი						
		25 ოქტომბერი						
21:00	753	იურგორდენი-ლულეო	2.00	4.00	2.30	1.33	1.06	1.46
21:00	754	ლეკსანდი-სიოდერტელიე	2.00	4.00	2.30	1.33	1.06	1.46
21:00	755	ლინხიოპინგი-ბრიუნესი	1.35	4.20	4.00	1.02	1.00	2.04
		ჰოკეი. ფინეთი						
		25 ოქტომბერი						
19:30	770	იოკერიტი-პელიკანსი	1.35	4.20	4.50	1.02	1.03	2.17
19:30	771	ჰელსინკი-კალპა	1.40	4.20	4.00	1.04	1.03	2.04
19:30	772	ტაპარა-ჰაამეენლინა	1.95	4.10	2.30	1.32	1.05	1.47
19:30	773	ესეტი-ტურკუ	2.10	4.00	2.20	1.37	1.07	1.41
19:30	774	კერპეტი-იუვესკიულე	1.55	4.00	3.30	1.11	1.05	1.80
		ჰოკეი. ჩეხეთი						
		25 ოქტომბერი						
19:00	790	ვსეტინი-პარდუბიცე	2.60	4.10	1.65	1.59	1.00	1.17
19:00	791	ტრინეეცი-კლადნო	1.95	4.00	2.40	1.31	1.07	1.50
19:30	792	ლიტვინოვი-პლზენი	2.00	4.00	2.30	1.33	1.06	1.46
19:30	793	კარლოვი ვარი-ვიტკოვიცე	2.00	4.00	2.30	1.33	1.06	1.46
19:30	794	ბუდეიოვიცე-სპარტა	1.90	4.00	2.30	1.28	1.04	1.46
20:30	795	ლიბერეცი-ზნოიმო	1.90	4.10	2.50	1.29	1.07	1.55
		26 ოქტომბერი						
21:00	796	სლავია-ზლინი	1.60	4.20	2.70	1.15	1.00	1.64
		ჰოკეი. შვეიცარია						
		25 ოქტომბერი						
21:45	834	ციურიხი-დავოსი	1.90	4.00	2.50	1.28	1.07	1.53
		ჰოკეი. რუსეთი						
		25 ოქტომბერი						
18:30	848	ცსკა-ასკ	1.65	4.20	3.00	1.18	1.06	1.75
15:30	849	სიბირი-ვიტიაზი	1.45	4.20	4.00	1.07	1.06	2.04
19:00	850	სპარტაკი-აკ ბარსი	2.90	4.10	1.70	1.69	1.07	1.20
14:30	851	ნოვოკუზნეცკი-მვდ	1.65	4.30	3.00	1.19	1.06	1.76
17:30	852	ლადა-ხიმიკი	1.60	4.20	3.00	1.15	1.04	1.75
16:30	853	მოლოტი-სევერსტალი	4.00	4.00	1.45	2.00	1.06	1.06
17:00	854	ს.იულაევი-ავანგარდი	2.80	4.10	1.80	1.66	1.09	1.25
18:30	855	ლოკომოტივი-ნეფტეხიმიკი	1.30	4.30	4.80	1.00	1.02	2.26

ჩემპიონატი და გიორგი ცინცაძე წარმოგიდგენთ
დინამომ ჩემპიონი დაალოცა

24 ოქტომბერი. ვერის ბაღი
დინამო 85:81 სტუ
20:16 20:31 18:16 26:18
დინამო: გამყრელიძე (7), ცინცაძე (18), ვ. მაისურაძე (24), ლაფანაშვილი (17), სუხიშვილი (9); ბადრიძე (4), დერიუგინი (3), გვიმრაძე (1), ნიფნივაძე (1), გულისაბედაშვილი
სტუ: მიქაძე (12), კოხრეიძე, ლოსაბერიძე (20), შანიძე (12), მათიაშვილი (7); კეიდია (13), გაგნიძე (6), ახალაური (5)
მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით არეშიძე
კომისარი: როლანდ ხომერიკი

24 ოქტომბერი. ვერის ბაღი
თსუ 77:64 აზოტი
22:17 13:18 19:17 23:12
თსუ: მარხვაშვილი (12), ლეფავა (12), ფანჩულიძე (10), მ. ბერიშვილი (9), სანიკიძე (2); მუშკუდიანი (9), ტყეშელაშვილი (8), კეშელავა (3), ვეფხვაძე (7), ი. მაისურაძე (5)
აზოტი: ულენტი (5), გოგობერიშვილი (2), გოგსაძე, ჭოჭუა (12), დანელიანი (16); არნოვიძე (16), ლიპარტელიანი (10), ცეკვავა (1), ჩაჩუა (2), ფაიქრიძე
მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით არეშიძე
კომისარი: მურმან ქურციძე

24 ოქტომბერი. ვერის ბაღი
ავიამშენი 123:73 მაკაბი
29:23 30:20 23:15 41:15
ავიამშენი: დ. ბერიშვილი (22), მოსეშვილი (7), წოწელია (12), ბ. ბერიშვილი (5), ნიკოლაძე (11), ხოშტარია, ნინიაშვილი (18), ორმოცაძე (6), ჩხატარაშვილი (19), ნოზაძე (10), მინაშვილი (13)
მაკაბი: ნინოშვილი (1), მერაბიშვილი, ენუქიძე (4), გ. შერმადინი (25), ვაშაკიძე (24), ფიცხელაური (7), კორკოტაძე (2), დოლიძე (5), ს. შერმადინი (2), გამყრელიძე (3)
მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, ხათუნა გაბედავა
კომისარი: როლანდ გელოვანი

14 ოქტომბერი. ქუთაისი
ქუთაისი 123:73 სსუ



დინამოელ გიორგი ცინცაძეს (ბურთით) ირაკლი კეიდია გადაეღობა

ბუსკა დოლიძისა-ბერეკაშვილის ფოტო

დინამო ამაღლებისა და ინტრიგის გაზრდისა რა მოგახსენოთ, მაგრამ გუშინდელი ტურიდან ეროვნული ჩემპიონატი იმით გახდა საინტერესო, რომ მას გიორგი ცინცაძეც შეუერთდა. ვინმეს იქნებ ირონიაც შეეპაროს ამ სიტყვებზე, ერთი კაცის დამატებით რა ინტერესი უნდა გამძაფრებულიყოს, მაგრამ ბევრით თუ მცირედით, ჩემპიონატი მართლაც საინტერესო გახდა.

რა მაძლევს ამის თქმის საფუძველს? უპირველეს ყოვლისა, მაყურებელთა რაოდენობა: თუ ხალხი მოვა, ესე იგი ინტერესიც არის, გუშინ კი პირადად მე არაერთი ადამიანი ვნახე დარბაზში, რომელიც კონკრეტულად გიორგი ცინცაძის თამაშის სანახავად იყო ვერის ბაღში მოსული.

სანამ დარბაზში მიმდინარე ამბების აღწერაზე გადავალთ, ის ავხსნათ, თუ რატომ დაბრუნდება ცინცაძე საქართველოში.

„ბუს", როგორც ცინცაძეს ნაცნობ-მეგობრების აბსოლუტური უმრავლესობა ეძახის, საქართველოში რუსეთიდან, კონკრეტულად კი სამარიდან ჩამოვიდა.

მოგეხსენებათ, მას მოსკოვის ცსკასთან აკავშირებს ხანგრძლივი კონტრაქტი და ორი წლის წინ ერთი სეზონი ითამაშა კიდეც არმიელებთან, მაგრამ შემდეგ ის „სამარაში" განათხოვრეს და გეგმებიც აერია. ამ სეზონის წინ ის კვლავ სამარაში ჩავიდა და ცსკა-სგან სიტყვას ელოდა, რომელსაც მისთვის ახალი გუნდი უნდა გამოენახა, მაგრამ საქმე გაიწელა და ცინცაძემ საქართველოში ჩამოსვლა და „დინამოში" თამაში არჩია.

ჰოდა, რაკი ასე მოხდა, ვერის ბაღში ჩვეულებრივზე მეტი მაყურებელი მოვიდა, რადგან ცინცაძის დარი პერსპექტიული მოთამაშე დღეს საქართველოში თითქმის არ არის და თუ კაცს ქართული კალათბურთის მომავალზე გული შესტკივა, ვერის ბაღში მისვლას რატომ დაიზარებს.

კარგა ხნის, უფრო ზუსტად კი სანაკრებო მატჩების შემდეგ უთამაშებელმა ცინცაძემ გუშინ გულიანად იბურთავა. ბევრი ბურთი დაკარგა, სხვა შეცდომებიც ჰქონდა, მაგრამ აშკარა იყო, რომ ის ნიჭიერებით ყველაზე მაღლა იდგა და რამდენჯერმე ისეთი პასები გააკეთა, ევროპის მოედნებზეც რომ ტაშს დაიმსახურებდა.

და საერთოდ, გუშინ „დინამომ" სტუ-ს რომ მოუგო, ცინცაძეს ამაში ლომის წილი მიუძღვის. ტექნიკოსებთან მატჩში დავით უსტიაშვილის გუნდი აუტსაიდერად კი ითვლებოდა, მაგრამ ცინცაძის შემატებით გულმოცემულმა დინამოელებმა მოქმედი ჩემპიონის დამარცხება მაინც მოახერხეს.

თამაშის დაწყებიდანვე იფეხმარდეს დინამოელებმა და წუთახევარში 7:0 დაწინაურდნენ. მატჩის საუკეთესო ბომბარდირი ვანო მაისურაძე უმოწყალოდ ბომბავდა ტექნიკოსთა კალათს და დინამოელებსაც ულხინდათ პირველ მეოთხედში.

სტუ-მ ბრჭყალები პირველი შესვენების შემდეგ გამოაჩინა, როცა 4 ქულით დაწინაურებულ „დინამოს" ჯერ წამოეწია და მერე ორი ამდენითაც გადაუსწრო. თავი ისახელა ლაშა ლოსაბერიძემ, რომელმაც ტექნიკოსებს მეორე მეოთხედში 12 ქულა მიაშველა და დიდ შესვენებაზე სტუ შვიდქულიანი ჰანდიკაპით გაიყვანა.

დინამოელები ამ დროს ცინცაძის უცნაური და მოულოდნელი პასების მიღებაში მეცადინეობდნენ და შესაბამისად ბევრი ბურთიც დაკარგეს, თუმცა დაიწყო მეორე ტაიმი და უსტიაშვილის ბიჭებმაც გამოიღვიძეს. მესამე მეოთხედი ახალდაწყებული იყო, როცა ცინცაძემ მე-4 პერსონალური შენიშვნა მიიღო და სათადარიგოებში გაერია, მისმა თანამებრძოლებმა კი თავი არ შეირცხვინეს, ტექნიკოსებს კუდში მისდევდნენ.

ბასრი მიზანი გამოიჩინა ლექსო ლაფანაშვილმა, ვისი სამქულიანებითაც „დინამო" ფარქვეშა ჩამორჩენას აბათილებდა. ცინცაძის დარად ოთხი პერსონალური დაუგროვდა დინამოელთა ერთადერთ ცენტრ ლადო სუხიშვილს, რომელმაც მთელი მესამე მეოთხედი სათადარიგო სკამზე გაატარა, თუმცა უკანახაზელთა მარიფათით უსტიაშვილის გუნდს არ გასჭირვებია.

გადამწყვეტი მეოთხედის წინ სტუ 5 ქულას იგებდა, თუმც ჩამორჩენა მალევე გაბათილა. მოედანს მობრუნებულმა სუხიშვილმა ფარქვეშ შეავიწროვა ტექნიკოსთა მაღლები, ხოლო დინამოელებს უკანა ხაზში ისედაც არ უჭირდათ და თამაშიც გათანაბრდა.

„დინამომ" ზონური დაცვა აირჩია, რომლის გარღვევაც ძალიან უჭირდათ ტექნიკოსებს, შეტევაში კი უსტიაშვილის სამწყსოს ცინცაძე-მაისურაძე სწყალობდა და მეორე მეოთხედში დაკარგული ლიდერობა „დინამომ" სირენამდე 6 წუთით ადრე დაიბრუნა — 69:67.

სტუ აიჭრა, სწრაფად შეუტია, მაგრამ დინამოელთა მწყობრი დაცვა მაინც ვერ გაარღვია და როცა ლაფანაშვილის სამიანს მაისურაძემ სამიანივე მიაბა, სირენამდე ორწუთნახევრით ადრე „დინამომ" 4-ქულიანი ლიდერობა დაიბევა.

ეს უკვე სერიოზული განაცხადი იყო გამარჯვებაზე და ის დინამოელებმა მალე მოიპოვეს. ლაშა ლოსაბერიძემ შეტევაში გარბენი გააკეთა და ცინცაძემ მორიგი ორი ქულით სტუ-ს იმედები დაასამარა.

ამის შემდეგ მოედანი ტურის ცენტრალურ „თსუ-ნიკორასა" და „აზოტის" მატჩს დაეთმო. თამაშს ერთის მხრივ გაამართლა, კარგა ხანი თანაბარი ბრძოლა მიდიოდა, მაგრამ ფინალი ჰქონდა ისეთი, რომ არ შეეფერებოდა.

უფრო ხშირად თსუ ლიდერობდა, მაგრამ რუსთაველები ფხიზლად იყვნენ და მეტოქე გვარიანად წინ ვერ გაიყვანეს. მატჩამდელ პრესკონფერენციაზე სტუდენტების თავკაცს მაჩვენა ერთ-ერთ რაშვილმა განაცხადა, „აზოტი" სწრაფი გუნდია, სიმაღლე აკლია და ფარზე მივიტანთ იერიშსო. მიიტანა კიდეც, მაგრამ ამ საქმეში ისეთი წარმატებას ვერ მიაღწია, რომ კონკურენტულად ეკრიბნა თავი. რუსთაველელების ეული მეკარე იური დანელიანი შმაგად ირბოდა საქმეში და ბურთებსაც ავდებდა, მაგრამ „აზოტის" მთავარი იარაღი მაინც ზონური ტყორცნები იყო და ეს ათიანი გადამწყვეტი მეოთხედამდე ამარიცხა.

პირველი ათწუთიანი თსუ-ს 3 ქულით მოიგო, მეორეს შემდეგ კი ფრე იყო. ერთი სიტყვით, თანაბარი თამაში მიდიოდა და ბევრს ეგონა, დაბეჭდილ ფინალს ვიხილავთ, მაგრამ ხარენამდე 3 წუთით ადრე რუსთაველელმა დავით არწივაძემ სამქულიანი მიიღო და „აზოტი" შეიტანა 3 ქულით მაიხლოვა, მაგრამ ეს იყო და ეს. სტუდენტმა ნიკა ვეფხვაძემ დაცვაში ისაუქა, არაერთი ძვირფასი ბურთი ნაჭრა და კონტრშეტევებიც შეიტანა ნად დაგვიგვანა, რამაც ანგარიში [illegible] გახადა „თსუ-ნიკორას" სასარგებლოდ.

რუსთაველები სამქულიანებით ამაოდ ეცადნენ მდგომარეობის გამოსწორებას.

ბოლო ოხილისერ ბაბუში, კი ფანტასტიკური წინდაწინ იყო ცინცაძეს ახლახან დუდუ დადიანის თამაშის მომგებმა „ავიამშენმა" აუცილებელი „მაკაბი" ერთი ხელის ფეხებივით დაამარცხა და ცხრიანის [illegible] თავებში მოექცა.

ავიამშენი	2	2	0	216:155	4
თსუ-ნიკორა	2	2	0	184:148	4
აზოტი	2	1	1	84:77	3
დინამო	2	1	1	167:174	3
მაკაბი	2	1	1	179:275	3
სსუ	2	1	1	208:181	3
სტუ	2	0	2	165:192	2
ქუთაისი	2	0	2	75:126	2

რაგბილიგა

დათვებმა ცამეტი ქართველი დაგვიტოვეს

კვირას მოსკოვში, „ლუჟნიკების" სტადიონზე, საქართველოს სულ თოთო ცამეტკაცურ ნაკრებს ოფიციალურ ტურნირებზე პირველად უნდა ეთამაშა და ითამაშა კიდეც თუმცა სახეირო ვერაფერი გამოუვიდა და პირწმინდად წაგებული პირველი ტაიმის შემდეგ, მეორეში უკეთ გარჯამაც ველარ უშველა.

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, რუსმა „დათვებმა" „ცამეტი ქართველი" თავის სათადარიგოებიდან გვარიანად დატორეს და 48:14 დაამარცხეს.

ეს პირველი მარცხი გახლავთ ლიგურად მოთამაშე ქართველთათვის.

არც გასაკვირია და არც სავალალო. საწყენი უფრო ისაა, რომ მეტოქე რუსეთის ნაკრები იყო და ვინც არ უნდა იძახოს, სად სპორტი, სად პოლიტიკა... მოკლედ, ძველი თემაა.

ევროპის ერთა თასი

23 ოქტომბერი. მოსკოვი
რუსეთი 48:14 საქართველო

რუსეთი: ლუგუნოვი, კოროლიოვი, დობრინინი, სმირნოვი, ბასკაკოვი, ნეჩაევი, კუზოკოვი, გეოზდევი, ოვჩინიკოვი, დუმალკინი, ლისენკოვი, ჩხიკვაძე, ბოფუკოვი (კაპ), გრიგორიანი, ჩულკოვი, ზაგოსკინი
9 ლელო: კუზოკოვი, ოვჩინიკოვი (2), დობრინინი, ნეჩაევი, ჩხიკვაძე, კოროლიოვი, გრიგორიანი, ბოფუკოვი; *6 გარდასახვა:* კუზოკოვი, ლოგუნოვი (5)
საქართველო: ასათიანი, ზ. კობერიძე, გიგაური, გილაური, ჟამუტაშვილი, გუგავა, სამხარაძე, გ. მჭედლიშვილი, ანდღულაძე, გასვიანი, ტრაპაიძე, მზეიძე, ახვლედიანი (კაპ), უდესიანი, ცხადაძე, ჯურაშვილი, ზ. მაისურაძე
3 ლელო: ჟამუტაშვილი (2), მაისურაძე; *1 გარდასახვა:* უდესიანი

თამაშს რაც შეეხება, პირველი ტაიმი სლავებმა პირწმინდად მოგვიგეს. სანამ ჩვენებურები, რომელთა შორისაც ზოგიერთს პირველად მოუწია ლიგის რაგბის თამაში, ალლოს აუღებდნენ, თუ რა ხდებოდა მოედანზე, მასპინძლები 36:0 გაიჭრნენ წინ და მხოლოდ შემდეგღა მოახერხა ჟამუტაშვილმა ლელოთი სხვაობის შემცირება.

მატჩის მეორე ნახევარში ჩვენებურებმა კიდევ ათი ქულა მოინაგრეს. ჟამუტაშვილმა და მაისურაძემ თითოჯერ გაილელოვეს, ორი ქულაც უდესიანის გარდასახვამ მოგვიტანა. რუსებმა ამის წილ 12 ქულა მოიპოვეს და საერთო ჯამში, როგორც მოგახსენეთ, 48:14 ძალვეს თამაში.

იმედგაცრეუბული გულშემატკივრის დასამშვიდებლად ვრთის თქმა შეგვიძლია. საქართველო-რუსეთის პირველი ოფიციალური სარაგბი ჯახიც რუსთა გამარჯვებით დასრულდა, თუმცა მას შემდეგ ჩვენს თხუთმეტკაცელებს ჩრდილოელებთან თავი აღარ შეურცხვენიათ და იქნებ „ცამეტმა ქართველმაც" პროგრესის იგივე გზა გაიარეს.

დამარცხება საწყენია, თუმც მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ფეხბურთელებში ბურთი მრგვალი არ არის, სხვა სპორტის სახეობათა დარად, რაგბიშიც ასე ხდება — ხან წაგებ, ხან მოიგებ.

ლადო ფულუკიძე



ვლადიმერ კრამნიკი

ვესელინ ტოპალოვი

კრამნიკი ტოპალოვს ელის, ფიდე კი ორ მილიონს

კლასიკური ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონი რუსი ვლადიმერ კრამნიკი ბულგარელ ვესელინ ტოპალოვს პლანეტის ერთადერთ ჩემპიონად არ თვლის და ახალ ბრძოლაში იწვევს.

შეგახსენებთ, რომ აი დღის წინ არგენტინულ სან-ლუისში მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონატი დასრულდა და იგი ტოპალოვმა დიდი უპირატესობით მოიგო. ამ შეჯიბრის მიზანი გახლეჩილი საჭადრაკო სამყაროს გაერთიანება იყო, მაგრამ, როგორც ხედავთ, ასე არ მოხდა და კრამნიკი თავს კვლავ ნამდვილ ჩემპიონად თვლის, მიუხედავად იმისა, რომ სან-ლუისში არ უთამაშია.

ტოპალოვს კრამნიკთან შეხვედრის სულაც არ ეშინია, მაგრამ ამის საჭიროებას ვერ ხედავს.

„წლეულს მე სამი სუპერტურნირი მოვიგე. კრამნიკი, ბოლო ათწლეულის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე, ფიდეს რეიტინგში მეშვიდეა და ჩემი გამოწვევის უფლება არა აქვს — განაცხადა ტოპალოვმა.

ბულგარელმა აღნიშნა, რომ კრამნიკი სან-ლუისში ჩემპიონატზე სათამაშოდ იყო მიწვეული, თუმც უარი განაცხადა და ამით ფაქტობრივად ტიტულიც დაკარგა.

„ხუთი წლის წინ კრამნიკმა პლანეტის მე-13 ჩემპიონ გარი კასპაროვს მოუგო, მაგრამ ახლა ძველებურად ვეღარ თამაშობს და მსოფლიოს ჩემპიონობაზე ტყუილად აცხადებს პრეტენზიას. თანაც რეიტინგში ივი 60 პუნქტით ჩამორჩება, რაც ჭადრაკში საკმაოდ ბევრია. ახლა კრამნიკი რომელიმე 60 პუნქტით სუსტმა რომ გამოიწვიოს სათამაშოდ, ხომ გაეცინება და უარს ეტყვის“.

ბულგარელი თვლის, რომ თუ მათი შეხვედრა შედგა, ეს უბრალოდ კომერციული მატჩი იქნება.

„ოფიციალურად ეს მატჩი არ შედგება, რადგან ფიდემ ახალი ჩემპიონატისთვის შეჯიბრებების ორწლიანი ციკლი შეიმუშავა“ — დასძინა ტოპალოვმა.

ცნობისთვის ფიდეს პრეზიდენტმა კირსან ილუმჟინოვმა ადრე განაცხადა, რომ სან-ლუისში გამარჯვებულის და კრამნიკის შეხვედრა შესაძლებელია, თუ რუსის მხარე ორ მილიონ დოლარს გადაიხდისო. ამის თაობაზე კი ახალი ჯერჯერობით არაფერია.

ტოპალოვის მხრიდან ასეთი განცხადებების მიუხედავად, კრამნიკი იმედს არ კარგავს, თავს უძლიერესად თვლის და საკუთარი არგუმენტები მოჰყავს.

„ტოპალოვი შეუფერებლად მთვლის და რეიტინგში იყურება. ტურნირების მოგება და მსოფლიოს ჩემპიონატი ერთი და იგივე არ არის. ხუთი წლის წინ ჩემპიონობა კასპაროვთან შეხვედრაში მოვიპოვე და შემდეგ პეტერ ლეკოსთან დავიცავი. ვთვლი, რომ ნამდვილი ჩემპიონი ვარ და თუ ტოპალოვს თავი მაგარი ჰგონია, შემერკინოს“ — ამბობს კრამნიკი და სან-ლუისში დასრულებულ ჩემპიონატსაც აფასებს.

„იქ ტოპალოვმა იმარჯვა და ორნი გავხდით. იგი ფიდეს ვერსიითაა ჩემპიონი, მე კი კლასიკურით. ჩემპიონატი მომეწონა და თამაშებიც მაღალი დონის იყო. როგორც ჩანს, იქ ყველა სათამაშოდ ჩავიდა, ტოპალოვი კი მოსაგებად“.

ლაზა გეგეჭკორი

კასპაროვის აზრით, ფიდე დროს ჩამორჩა

დიდი ჭადრაკიდან წასული მსოფლიოს მე-13 ჩემპიონი რუსი გარი კასპაროვი საჭადრაკო სამყაროში მიმდინარე მოვლენებს ყურადღებით აკვირდება და ამის თაობაზე ერთ-ერთი ჟურნალისტსაც ესაუბრა. მთავარი თემა, რა თქმა უნდა, სან-ლუისში დასრულებული მსოფლიოს ჩემპიონატი, ჭადრაკში მისი შესაძლო დაბრუნება და კრამნიკ-ტოპალოვის დაპირისპირება იყო

— რას იტყოდით სან-ლუისში დასრულებულ ჩემპიონატზე?

— ყველაფერი კანონიერად ჩატარდა და ვესელინ ტოპალოვმაც დამსახურებულად მოიგო. წლეულს იგი ძლიერად თამაშობდა და ძნელ, დაუნდობელ ბრძოლებს სხვებზე მომზადებული შეხვდა. გამარჯვებაში მუდამ გამოერევა ხოლმე იღბალი, მაგრამ ტოპალოვმა ყველა ქულა თამაშში აიღო.

— ანუ ეს ვესელინისთვის ცხოვრების ტურნირი იყო?

— მრავალი წელია, ტოპალოვი მაღლა მიიწევს და სან-ლუისში მწვერვალს უწია. ვფიქრობ, რომ ეს გახლეჩილ საჭადრაკო სამყაროს შეარიგებს.

— ხომ არ გეჩვენებათ, რომ არგენტინაში ბულგარელმა ხარისხიანი ნახტომი გააკეთა?

— ზუსტად ვერ გეტყვით. უბრალოდ, მან იქ თავისი თამაში იპოვა და სწორი მიმართულებით წავიდა. წლეულს ტოპალოვმა გაიმეორა ნახტომი, რომელიც 2000 წელს კრამნიკმა გააკეთა. მთავარია, ახლა როგორ განვითარდება მოვლენები.

— ზამთარში ვეიკ ან ზეეს სუპერტურნირზე წერილი გაგზავნეთ, რომელშიც წუხდით, რომ იმ გათამაშებაში არ მონაწილეობდით, სან-ლუისის ტურნირზეც ხომ არ გაგიჩნდათ მსგავსი გრძნობა?

— მსგავსი არაფერი ყოფილა. მარტში საბოლოო გადაწყვეტილება მივიღე და დიდი ჭადრაკიდან წამოვედი. ჩემპიონატს კი ისე ვუყურებდი, როგორც გულშემატკივარი. ვცდილობდი, შესაძლო სვლები გამომეცნო და პარტიებს ვაანალიზებდი. ახლა ჩემი ტვინი სხვა მიმართულებით მუშაობს და ამ ტურნირში მონაწილეობაზე არ მიფიქრია.

— დადის ხმები, რომ თქვენ დიდ ჭადრაკს მალე დაუბრუნდებით...

— თუ ვინმეს ასე უნდა... ეს საუბრები მე ცოტა მაძშვიდებს. ბოლო ათი წელი ყველა ელოდა, როდის წავიდოდი, მარტში ისინი გავახარე, ახლა კი კვლავ ჩემს დაბრუნებაზე ალაპარაკდნენ.

— როგორ ფიქრობთ, სან-ლუისმა ფიდეს რამე პრობლემა გადაუწყვიტა?

— ფიდეს ერთი ნამდვილი და ლეგიტიმური ჩემპიონი — ტოპალოვი ჰყავს, რაც მათთვის მისაღებია, მაგრამ...

სან ლუისში საპრიზო ფონდი ქვეყნის ფედერალური ბიუჯეტიდან გამოიყო, ასე იქნება ხანტი-მანსიისკშიც. ფიდე ისევ ერთეული ჩინოვნიკების იმედზეა და კვლავ არ ჰყავს სპონსორი. არ არის სიახლეები და, როგორც ხედავთ, იგი ერთ ადგილზეა გაყინული. აი, ეს არის მათი მთავარი პრობლემა.

— ტოპალოვის ადგილზე რომ იყოთ კრამნიკს შეხვდებოდით?

— კრამნიკმა ძველი დიდება დაკარგა და საჭადრაკო სამყაროზე ვერავითარ გავლენას ვეღარ მოახდენს. ტოპალოვი დამოუკიდებელი პიროვნებაა და იმედია, სწორ გზას იპოვის. მათმა შეხვედრამ შესაძლოა ახალი ქაოსი გამოიწვიოს, რადგან უკვე ვერაფერს შეცვლის.

ბოულინგი, ხუთი ცხოველი და ხუთი კონტინენტი

დღეს მოსკოვში მეტად უცნაური შეჯიბრება გაიმართება. აქ განუზრახავთ პირველი მსოფლიოს ჩემპიონატის გამართვა ბოულინგში, რომელშიც... ცხოველები მიიღებენ მონაწილეობას; გაიმართება აგრეთვე ასპარეზობა ამავე სახეობაში — „ცხოველები ადამიანია წინააღმდეგ“.

როგორც ბი-ბი-სის კორესპონდენტს ამ ჩემპიონატის ორგანიზატორმა, სატირიკოსმა მწერალმა და შოუმენმა იური ნაზაროვმა უთხრა, ცხოველებს ძალიან უყვართ თამაში, მათ შორის, მრგვალი თუ მომრგვალებული საგნებით.

ასპარეზობის ორგანიზატორებმა შეარჩიეს ხუთი ცხოველი, რომლებიც ხუთივე კონტინენტის წარმომადგენლები არიან: დათვი ევროპის ღირსებას დაიცავს, თხა — აზიისას, მაიმუნი — აფრიკისას, ჯუჯა ღორი — ამერიკისას, ხოლო ავსტრალიის პრესტიჟის დაცვა იქედნას მიანდეს. ამაოდ ორი, მოგეხენებათ, „ოლიმპიური“ ცხოველები არიან.

შეგახსენებთ, დათვი მოსკოვის ოლიმპიური თამაშების ხიბლიღი იყო, ხოლო იქედნა ხიდნეის ოლიმპიურ თამაშებს ამშვენებდა, რიგორც მისი თიხისმა.

მოსკოვის საბოულინგო ჩემპიონატისთვის შერჩეული ცხოველები თავდაპირველად ერთმანეთს შეჯიბრებიან, მერე კი ერთ გუნდში გაერთიანდებიან და ამგვარად შექმნილი მსოფლიოს ცხოველია ნაკრები ორეულა მებოულინგეების დაუპირისპირდება.

ნაზაროვს რომ ჰკითხოთ, დაპირისპირებულ მხარეთა შანსები თანაბარია, რადგან ამ ასპარეზობაში ბოულინგის ჩემპიონები არ გამოვლენ.

ასპარეზობის მონაწილეობა შორის არიან ცნობილი არაპროფესიონალები, მაგალითად, პოლიტიკოსი კონსტანტინ ბორეიკო, მსახიობი ელენა კონდულაინენი, მწერალი ალექსანდრ კურლიანდსკი...

ნაზაროვის თქმით, თხა გამოქანებით რქებით გააგორებს ბუჩქის, იქედნა მას გვერდებს მიჰკრავს, ხოლო მაიმუნი ადგილიდან ისვრის.

„დათვი იღებს ბურთს და მართლაც ძლიერად მოისვრის. ეს საქმე დათვს ყველაზე უკეთ გამოსდის. სხვათა შორის, მას არც ღორი ჩამორჩება“, — ამბობს ნაზაროვი.

ორგანიზატორებმა ცხოველებს ბოულინგის თამაში სპეციალურად ასწავლეს. თუმცა, იმავდროულად, რა თქმა უნდა, ადამიანებსაც უნდა ასწავლონ ბოულინგის თამაში.



საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრმა გოკა გაბაშვილმა
და მისმა მოადგილე თამაზ თევზაძემ ვიქტორ სანეევი შუაში ჩაიყენეს

ოლიმპიური ჩემპიონები ვიქტორ სანეევი და ლერი ხაბელოვი
კახი ასათიანის საფლავთან

ბადრი კეთილაძის ფოტორეპორტაჟი

60 წლის საუკუნის კაცი

ვიქტორ სანეევს ვერის სასაფლაოზე ზურაბ საყანდელიძის
საფლავთან განსვენებულის მეუღლეც დახვდა

ვიქტორ სანეევი ოთარ ჭორქიას საფლავთან

გუშინდელივით მახსოვს სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე მაშინდელი საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის კახი ასათიანისა და სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის ვიქტორ სანეევის ბოლო შეხვედრა. მაშინ ოლიმპიურ სოფელში ჩვენი ქვეყნის XX საუკუნის საუკეთესო სპორტსმენ კაცს საგანგებო შეხვედრა მოუწყვეს. იმ შეხვედრაზე სანეევს დაუსწრებლად მოპოვებული სხვადასხვა პრიზები და ჯილდოები ჩაუტანეს, კახი ასათინმა კი საქართველოს პრეზიდენტის სახელით ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენი გადასცა.

იმ ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოდან ჩასულთაგან ვიქტორ სანეევამ გუშინ და გუშინწინ ობილისში თითქმის ყველა იხილა, კახი ასათიანი კი მათ შორის აღარ იყო...

გუშინ ვიქტორ სანეევმა [illegible] მეგობრის კახი ასათიანის საფლავი მოინახულა.

ეს დღე საქართველოს [illegible] მენთა თავისებური ხსოვნის დღე გამოვიდა, რაკიდა სანე

ლინდსი დევენპორტი



რაფაელ ნადალი

ნადალის ფანტასტიკური წელიწადი და დევენპორტის მძიმე კვირა

მასტერსის სერია
მადრიდი. ესპანეთი
მაგარსფარი
საპრიზო 1 870 000 €

ᲤᲘᲜᲐᲚᲘ

რაფაელ ნადალი (ესპანეთი, 1) — ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია, 6) — 3:6 2:6 6:3 6:4 7:6

ᲛᲐᲓᲠᲘᲓᲘᲡ მასტერსი ესპანელი რაფაელ ნადალის გამარჯვებით დასრულდა. გამარჯვება, მით უმეტეს ფინალში, ყოველთვის სასიხარულოა, მაგრამ ნადალისთვის ეს მოგება უფრო ძვირფასია, რადგან ტურნირზე ფიზიკურად, ბოლომდე მოუმზადებელი ტრავმით ჩასპარეზა, თუმც მის თამაშს ეს არ დასტყობია.

ფინალი კი მართლაც დიდებული გამოვიდა. ეს იყო ნამდვილი ხუთსეტიანი ტრილერი, რომელიც 3 საათსა და 51 წუთს გაგრძელდა და ამ ტურნირის ნამდვილ მშვენებად იქცა. ფინალში ნაჩვენები თამაშით ნადალმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ის დღეს მართლაც ერთ-ერთი საუკეთესო მეჩოგნეა.

ესპანელის მეტოქე, ხორვატი ივან ლიუბიჩიჩიც ამჟამად მართლაც დიდებულ ფორმაშია, რაც ფინალშიც გამოჩნდა.

ფინალი ხორვატის უპირატესობით დაიწყო. ის დიდებულად აწოდებდა, კარგად თამაშობდა ბადესთან და მიდებაზეც მშვენივრად გამოიყურებოდა. ამის შედეგად პირველი ორი სეტი მისი კარნახით წარიმართა და გამარჯვებითაც დასრულა — 6:2 6:3.

აქ უკვე ნადალის განსაკუთრებულმა ფსიქოლოგიურმა მომზადებამ თქვა თავისი სიტყვა. ბოლომდე ბრძოლა მისთვის დამახასიათებელია, ამ შეხვედრაში კი დაამტკიცა, რომ თითქმის წაგებული მატჩის შემოტრიალებაც შეუძლია. მას ესპანელი ქომაგებიც ძალიან დაეხმარნენ. ისინი წამითაც არ გაჩერებულან და მთელი მატჩის განმავლობაში ამხნევებდნენ თავიანთ კერპს.

ესპანელი მესამე სეტიდან კარგად ათამაშდა. მას იმანაც შეუწყო ხელი, რომ ლიუბიჩიჩის არსენალიდან თითქოს გაქრა მისი მთავარი იარაღი — ძლიერი მოწოდება. ნადალი გაუნუწყვეტლივ უტევდა და სულ უფრო უმატებდა ტემპს, რათა ხორვატისთვის ამოსუნთქვის საშუალება არ მიეცა. ესპანელმა თავისას მიაღწია და სეტებში ანგარიში გაათანაბრა.

თამაშის ბედი მეხუთე სეტში უნდა გადაწყვეტილიყო, რომელიც ყველასთვის მოულოდნელად დაიწყო. ხორვატმა სეტის დასაწყისშივე დაალაგა თავისი თამაში და 2:0 დაწინაურდა. თუმცა ესპანელმა კიდევ ერთხელ გამოავლინა მებრძოლი ხასიათი, ლიუბიჩიჩს მალე გაუკეთა საპასუხო ბრეიკი და ანგარიში გაათანაბრა. ამის შემდეგ ჩოგბურთელები სტაბილურად იღებდნენ თავიანთ მოწოდებებს და საქმე ტაი-ბრეიკამდე მივიდა. აქ ესპანელმა კვლავ თავისი სიმტკიცითა და სტაბილური თამაშით ავჯობა ხორვატს და ტურნირიც მოიგო.

თამაშის შემდეგ ნადალმა განაცხადა: „ძნელი, ურთულესი და დამღლელი შეხვედრა იყო, უფრო ფსიქოლოგიურად, ვიდრე ფიზიკურად. მთელი მატჩის განმავლობაში ეჭვი მეპარებოდა, რომ შევძლებდი მოგებას... დიდი მადლობა მაყურებელს, მათ დაუხმარებლად ვერ მივაღწევდი წარმატებას... ეს წელი კი მართლაც ფანტასტიური გამოვიდა“.

ლიუბიჩიჩმა მიულოცა მეტოქეს გამარჯვება და თავისი მარცხი ბოლო პერიოდში ჩატარებულ მატჩების დიდ რაოდენობას დააბრალა, რის გამოც მან ფიზიკურად ვერ გაუძლო მოწინააღმდეგის მიერ შეთავაზებულ ტემპს.

ეს წელი კი მართლაც ფანტასტიური გამოდგა ნადალისთვის. წლეულს მან მასტერსის სერიის მეოთხე (დაეწია როჯერ ფედერერს), ხოლო მთლიანად მეთერთმეტე ტურნირი მოიგო.

საინტერესოა, რომ 2005 წელს მასტერსის სერიის ტურნირებს მხოლოდ ორი ჩოგბურთელი — რაფაელ ნადალი და როჯერ ფედერერი იგებენ. თან ეს ესპანელის მიერ წლეულს 79-ე მოგებული მატჩია, რაც მართლაც დიდებული შედეგია.

WTA
ციურიხი. შვეიცარია
მაგარსფარი
საპრიზო 1 300 000 $

ᲤᲘᲜᲐᲚᲘ

ლინდსი დევენპორტი (აშშ, 1) — **პატი შნიდერი** (შვეიცარია, 6) — 7:6 6:3

ᲪᲘᲣᲠᲘᲮᲘᲡ WTA-ს რანგის მორიგი ტურნირი ამერიკელი ლინდსი დევენპორტის გამარჯვებით დასრულდა. მან საკმაოდ იოლად დაამარცხა ტურნირის მასპინძელი პატი შნიდერი და წლეულს მეექვსე, კარიერაში კი 51-ე ტურნირი მოიგო.

მატჩი ამერიკელის აშკარა უპირატესობით წარიმართა. იგი თავისი ძლიერი მოწოდებებითა და უკანა ხაზიდან გათამაშებული კომბინაციებით ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდა შვეიცარიელს.

შნიდერმა პირველ სეტში კიდევ მოახერხა ღირსეული წინააღმდეგობის გაწევა. ჩოგბურთელებმა აქ გაცვალეს მოწოდებები და საქმე ტაი-ბრეიკამდე მივიდა, რომელშიც დევენპორტმა მოწინააღმდეგეს მხოლოდ 3 ქულა ააღებინა.

მეორე სეტი კი უკვე შვეიცარიელის უპირატესობით დაიწყო და ის საკმაოდ ძალე დაწინაურდა (3:1), თუმცა ამის შემდეგ დევენპორტმა ზედიზედ 5 გეიმი აიღო და ფინალიც თავის სასარგებლოდ დასრულა. შნიდერის წინააღმდეგ ჩატარებული 10 მატჩიდან დევენპორტმა მერვედ იმარჯვა.

„ეს კვირა მართლაც ძნიშ აღმოჩნდა ჩემთვის, რასაც ველოდი კიდეც. შნიდერი საკმაოდ მრავალფეროვანი არსენალის მქონე მოთამაშეა, ხოლო აქ სიგულისხმება შვეიცარიელი ის განსაკუთრებით კარგად გამოიყურება ხოლმე, რის გამოც მე აგრესიულად უნდა მეთამაშა, რომ მას თავისუფლად არ ეგრძნო თავი, რაც გამომივიდა კიდეც“ — განაცხადა დევენპორტმა პრესკონფერენციაზე.

„ყველაფერი გავაკეთე, რაც შემეძლო, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა... ვეთამაშე ჩოგბურთელს, რომელიც ყველაფრისთვის მზად აღმოჩნდა“ — თქვა შნიდერმა.

დაბოლოს, დევენპორტმა ციურიხში წარმატებული გამოსვლით WTA-ს რეიტინგში დაიბრუნა პირველი ადგილი და სანერვიანი რბოლას კვლავ სათავეში მოექცა.

ᲙᲐᲮᲐ ᲚᲝᲛᲐᲫᲕᲘᲚᲘ

ᲰᲝᲙᲔᲘ

გაბრაზებული და ხმაწარმოებული დიადი

უეინ გრეცკი

23 ოქტომბერი

ᲐᲜᲐᲰᲔᲘᲛᲘ 5:3 ᲤᲘᲜᲘᲫᲡᲘ

3:0 0:2 2:1

1:0 სიკორა (10), 2:0 სელიანე (18), 3:0 მაკდონალდი (20), 3:1 ლეკლერკი (34), 3:2 ლეკლერკი (40), 4:2 პედსტრიომი (45), 4:3 სენდერსონი (55), 5:3 რ. ნიდერმაიერი (60)

ᲣᲔᲘᲜ გრეცკი ალბათ ახლა თავებდს იწყევლის...

თამაშის დროს „დიადი“ შეგირდებმა ისე ანერვიულეს, რომ ყვირილისგან ხმა ჩაეხლიჩა და ნამატჩევს პრესკონფერენციაც კი გამოტოვა, სანერვიულო კი თავკაცს ნამდვილად ჰონდა. სამი პერიოდი „ფინიქსმა“ ისე ჩაატარა, თითქოს ყოველ მომდევნო მესამედში ყინულზე ახალი გუნდი გამოდიოდა. ჯერ იყო და პირველ პერიოდში სტუმრებმა სამი შაიბა გაუშვეს, რის გამო გრეცკიმ მეკარე კერტის ჯოზეფი გამოცვალა. მეორეში თითქოს ყველაფერი დალაგდა, ანგარიშიც მინიმუმამდე შემცირდა, მაგრამ გრეცკის ბიჭებმა მესამე კვლავ ჩააფლავეს და საბოლოოდ დაეკარგვინეს მწვრთნელს ხმა.

ᲩᲘᲙᲐ�გᲝ 4:2 ᲛᲘᲜᲔᲡᲝᲢᲐ

1:1 1:1 2:0

1:0 ბურკი (10), 1:1 გაბორიკი (11), 2:1 არნასონი (23), 2:2 გაბორიკი (25), 3:2 ბოლმკვისტი (51), 4:2 კიტი (54)

„ᲩᲘᲙᲐᲗᲝᲡ“ გამარჯვება ახალბედებმა მოუტანეს. ოთხი შაიბიდან სამი დებიუტანტებმა შეაგდეს, ხოლო საუკეთესო მათგან სახელოვანი რეი ბურკის სეხნია, რენე იყო, რომელმაც გოლს ორი პასი დაამატა.

ᲚᲝᲡ ᲐᲜᲯᲔᲚᲔᲡᲘ 2:3 ᲙᲐᲚᲒᲐᲠᲘ

2:0 0:2 0:1

1:0 რობიტაილი (17), 2:0 არმსტრონგი (19), 2:1 საიმონი (29), 2:2 ფანიოფი (34), 2:3 საიმონი (60)

ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

ᲐᲢᲚᲐᲜᲢᲐ

	თ	მ	წ	სწ	შ	ქ
რენჯერსი	10	4	3	3	32:25	11
ნიუ ჯერსი	8	4	4	0	25:28	8
აილენდერსი	8	4	4	0	24:29	8
ფილადელფია	6	4	2	0	26:19	8
პიტსბურგი	8	0	4	4	23:38	4
ᲩᲠᲓᲘᲚᲝ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ						
ბუფალო	8	6	2	0	25:22	12
მონრეალი	8	6	2	0	25:21	12
ოტავა	6	6	0	0	25:11	12
ტორონტო	8	4	2	2	34:26	10
ბოსტონი	9	4	5	0	31:32	8
ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ						
ფლორიდა	9	5	4	0	19:20	10
ტამპა	9	4	3	2	24:19	10
კაროლინა	7	4	2	1	27:18	9
ატლანტა	8	3	5	0	21:31	6
ვაშინგტონი	9	3	6	0	19:40	6
ვაშინგტონი	9	3	6	0	19:40	6

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

ᲪᲔᲜᲢᲠᲘ

დეტროიტი	9	8	1	0	36:17	16
ნეშვილი	7	7	0	0	22:16	14
ჩიკაგო	8	3	5	0	23:29	6
სენტ ლუისი	8	2	5	1	22:28	5
კოლუმბუსი	8	2	6	0	15:26	4
ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ-ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ						
ვანკუვერი	9	7	1	1	35:26	15
მინესოტა	9	5	3	1	32:20	11
კალგარი	9	3	5	1	21:28	7
კოლორადო	8	3	4	1	34:28	7
ედმონტონი	9	3	5	1	19:31	7
ᲧᲝᲜᲐᲠᲘ ᲝᲠᲔᲜᲐ						
ლოს ანჯელესი	8	6	2	0	29:21	12
დალასი	8	5	3	0	22:26	10
ანაჰაიმი	8	3	4	1	23:25	7
სან ხოსე	9	3	5	1	25:34	7
ფინიქსი	10	3	6	1	23:27	7

თ — თამაში, მ — მოგება, წ — წაგება, სწ — საოვერტაიმო წაგება, შ — შაიბები, ქ — ქულები

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲚᲔᲒᲘᲝᲜᲔᲠᲔᲑᲨᲘ ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲐᲐ



ᲒᲐᲓᲐᲠᲘ ᲙᲝᲜᲘᲔᲚᲐᲫᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

ᲑᲝᲚᲝ წლებში ქართული წყალბურთის სახეს ახალგაზრდული ნაკრები წარმოადგენს, რომელიც გაჭირვებისა და ელემენტარული სავარჯიშო პირობების არქონის მიუხედავად, მაინც გარკვეულ წარმატებებს აღწევს. სამწუხაროდ, წყალბურთელებს პრობლემები არ ელევათ. არსად ჩანს დაპირებული „ქარიშხალას“ აუზი, რომლის წყალბურთელებისთვის გადაცემაც თვით საქართველოს პრეზიდენტმა ინება. არადა, დრო არ ითმენს. პეკინის ოლიმპიური თამაშები ახლოვდება, ჩვენ კი ამ ბიჭებს, ფაქტობრივად სათანადო ვარჯიშის გარეშე წარმოუდგენელს ვთხოვთ — პეკინის ოლიმპიურ ლიცენზიას.
ამ პრობლემებზე, ბოლო ხანს გალეგიონერებულ ბიჭებზე და უახლოეს გეგმებზე საქართველოს ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა სოსო მაისურაძემ მოგვითხრო

— შეგვპირდნენ, რომ საქართველოს საწყლოსნო სახეობათა ფედერაციას „ქარიშხალას“ აუზს გადასცემდნენ, მაგრამ ეს საკითხი ისევ ცაშია გამოკიდებული, — გვიამბობს სოსო მაისურაძე. — მეტიც, როგორც ამბობენ, შეიძლება „ქარიშხალას“ აუზი გაყიდონ. ეს თუ მართლაც მოხდა, უარეს მდგომარეობაში აღმოვჩნდებით. იმ შემთხვევაში, თუ აუზს გადმოგვცემენ, ბავშვებისთვის მაინც გვექნება სავარჯიშო პირობები.

— ბოლო პერიოდში ახალგაზრდული ნაკრების ძირითადი ბირთვი საზღვარგარეთ წავიდა. ვინ არიან ისინი და ამჟამად სად თამაშობენ?

— გიორგი ხვედელიანი და ზურაბ რურუა მოსკოვში შესაბამისად „მაიაკსა“ და ცსკა-ში თამაშობენ. ბექა ქენქაძე ათენში გამოდის, ხოლო გურამ კოტარია ახლა კიევის „დინამოში“ მიემგზავრება.

ბიჭებს იქ ნორმალური სავარჯიშო პირობები და ხელფასი აქვთ.

— მათი ნაკრებში ჩამოყვანა პრობლემა ხომ არ იქნება. კლუბები იოლად გამოუშვებენ?

— ნოემბრის ბოლოს უკრაინის ღია პირველობა გველის. თუ ლეგიონერთა კლუბების ინტერესებს ჩვენს სპორტსმენებთან რამდენიმედღიანი განშორება ხელს არ შეუშლის, მაშინ გამოუშვებენ, თუ არა და მათ გარეშე მოგვიწევს ფონს გასვლა. კლუბებს სრული უფლება აქვთ, რომ მოთამაშე, თუ თავად სჭირდებათ, არ გამოუშვან, ბიჭები კი თავის მხრივ კონტრაქტს ვერ დაარღვევენ.

არადა, ჩვენც დაინტერესებულნი ვართ, რომ ბიჭები კლუბებში წავიდნენ. იქ მათ მუდმივი სათამაშო პრაქტიკა ექნებათ, გამოცდილებას მიიღებენ და შემდეგ ნაკრებისთვისაც უფრო მეტის გაკეთებას შეძლებენ.

ასე რომ, ჯობია მათ კლუბებთან კარგი ურთიერთობა გვქონდეს და ერთობლივად ვითანამშრომლოთ.

— რამდენადაა შესაძლებელი, რომ რომელიმემ იმ ქვეყნის მოქალაქეობა მიიღოს, რომელშიც მისი კლუბია. ეს მით უფრო გასათვალისწინებელია, რომ ეროვნული ნაკრები ისევ არ გვყავს.

— ეს ბიჭები პატრიოტები არიან. არა მგონია, მათ ეს ნაბიჯი გადადგან. რაც შეეხება ნაკრებს, იგი რომ შეიქმნას, ამას პირველ რიგში ელემენტარული პირობები, აუზი სჭირდება. ამჟამად ვაკის დახურულ აუზში კი ვვარჯიშობთ, მაგრამ ორი კარი არა გვაქვს. სანამ სავარჯიშო პირობები არ გვექნება, ლეგიონერებს ვერ ჩამოვიყვანთ. ვთქვათ და მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი წყალბურთელი რევაზ ჩომახიძე ჩამოვიყვანეთ, სად ვავარჯიშოთ? გამოსავალი შეიძლება ის იყოს, რომ გუნდი საზღვარგარეთ ავარჯიშო, მაგრამ ეს საკმაოდ დიდ თანხებთანაა დაკავშირებული. ასე რომ, „ქარიშხალას“ აუზი აუცილებლად უნდა გადმოგვეცეს, მერე კი შეიქმნას კლუბი, სადაც ეს ბიჭები ერთად ითამაშებენ.

როდესაც ლეგიონერები უკრაინის ღია პირველობისთვის შეკრებაზე ჩამოვლენ, მათ თუ ერთად ორი-სამი ვარჯიში არ ჩაატარეს და არ შეთამაშდნენ, ისე ბრძოლა გაუჭირდებათ, რადგან იქ სხვადასხვა სათამაშო სისტემაში არიან ჩართულნი.

— უკრაინის ღია პირველობამდე ჯერ კიდევ დროა. მანამდე რას აპირებთ?

— ახლა ბაქოში, საერთაშორისო ტურნირში გამოვალთ. იქ 89, 90, 91 წლებში დაბადებულ ბავშვებს გამოვცდით, რომლებიც ახალგაზრდა მწვრთნელმა გიგა მაზიაშვილმა მოამზადა.

— ბოლო ვარჯიშებს უშუალოდ თქვენ ხელმძღვანელობდით. ვინმეს გამოყოფა ხომ არ შეგიძლიათ?

— სამწუხაროდ, ბევრმა გუნდში მიწვევა საკმარისად ჩათვალა და სათანადოდ აღარ ვარჯიშობს. აქცენტი უნდა გაკეთდეს ისეთებზე, ვინც ენთუზიაზმით ივარჯიშებენ. ეს კი ძალიან ძნელია, მით უმეტეს, რომ მათ არც სტიპენდიები აქვთ და არც სასწავლებლები უწევენ შელავათს.

მაინც ვიმედოვნებთ, რომ ბაქოში პერსპექტიული ბიჭები გამოჩნდებიან და საუკეთესოებს საუკრაინოდ ახალგაზრდულ ნაკრებში მივიწვევ.

ᲚᲔᲕᲐᲜ ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲐᲫᲔ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲩᲔᲛ�პᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲠᲐᲚᲘᲨᲘ
XIV ᲔᲢᲐ�პᲘ. ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ 342.0 ᲙᲛ

ᲝᲠᲒᲖᲘᲡ ᲩᲔᲛ�პᲘᲝᲜᲗᲐ ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲛᲝᲘᲒᲝ

ᲤᲠᲐᲜᲒᲣᲚᲘ ეტაპი ერთ-ერთი ურთულესია მერალეთა 16-რაუნდიან კალენდარში. კუნძულ კორსიკის მთავარქალაქ აიაჩოს შემოგარენში 342-კილომეტრიანი დისტანცია მოასფალტებულ, თუმც მეტად ვიწრო და ჩახვეულ გზებზე გადის, რის გამო სახელიც შესაფერი აქვს — ათი ათასი მოსახვევის რალი.

31 წლის ფრანგმა პილოტმა სებასტიენ ლოებმა ზედიზედ მეორე საჩემპიონო ტიტული წინა, იაპონურ ეტაპზე კი გაინაღდა, მაგრამ კორსიკის ვიწროებში მაინც უდიდესი მონდომებით ირბოლა, რადგან სურდა, სამშობლოში გამარჯვების გემო გაეგო. შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა — სებმა და მისმა მონაკოელმა თანამძღოლმა დანიელ ელენამ უნაკლო „სიტროენ-ქსარათი“ ფანტასტიკურად იქროლეს და გასაოცარი, მართლაც საგინესო შემთხვევაა, რომ თორმეტივე ჩქაროსნულ უბანზე ეტაპლას ავკობეს.

მეორე პოზიციაზე მყარად იდგა მარკუს გრონჰოლმი — თითქმის ათი წამით უსწრებდა პეტერ სოლბერგს და რეალური შანსიც ჰქონდა ჯერ-ჩემპიონობა გაეფორმებინა, მაგრამ ჩასმართლიანობა მართლაც არსებობს წინა რბოლის ფინიშთან ავარიის გამო დაკარგული მოგების შემდეგ, ძალიან იღბალმა სოლბერგს დანაკარგი აუნაზღაურა. ფინელის სანაცვლოდ „პეჟოს“ სიჩქარეთა კოლოფი მოეშალა და ბრძოლას გამოეთიშა.

ამგვარად, კორსიკული პოდიუმის წყალობით „ჰოლიგუულ“ ბუნური „ცივ“ მარკუსს წამოეწია და ვერცხლის პრიზიორის ადგილიც დასკვნით, ავსტრალიურ ეტაპზე გაირკვევა. ამ კვირის ბოლოს ესპანური რალისას კი ალბათ გუნდური, ანუ კონსტრუქტორთა თასიც გამარჯვებულს შეეტყობი.

ᲒᲘᲐ ᲐᲮᲐᲚᲐᲫᲔ

AFP ᲤᲝᲢᲝᲡᲢᲣᲓᲘᲝᲓᲐᲜ

ᲡᲔᲑᲐᲡᲢᲘᲔᲜ ᲚᲝᲔᲑᲛᲐ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲨᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲘᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐ

ᲠᲑᲝᲚᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘ

1	სებასტიენ ლოები (საფრანგეთი, სიტროენი)	3სთ; 35.46,7
2	ტონი გარდმაისტერი (ფინეთი, ფორდი)	ჩამორჩა 1.51,7
3	პეტერ სოლბერგი (ნორვეგია, სუბარუ)	2.42,0
4	სტეფან სარაზინი (საფრანგეთი, სუბარუ)	3.34,2
5	რომან კრესტა (ჩეხეთი, ფორდი)	5.21,5
6	ალექს ბენგუ (საფრანგეთი, შკოდა)	5.27,8
7	ხავიერ პონსი (ესპანეთი, პეჟო)	5.41,8
8	ნიკოლა ბერნარდი (საფრანგეთი, პეჟო)	6.32,1

ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲩᲐᲗᲕᲚᲐ

1 ლოები — ელენა 117 ქულა; 2 გრონჰოლმი — რაუტიაინენი (ფინეთი, პეჟო) 71; 3 პ. სოლბერგი — მილსი 71; 4 გარდმაისტერი — ჰონკანენი 58; 5 მარტინი — პარკი (პეჟო) 53; 6 როვანპერა — პიეტილაინენი (ფინეთი, მიცუბიში) 31; 7 დიუვალი — მილსი (სიტროენი) 29; 8 კრესტა — მოჟნი 22; 9 შტოლი — მინორი (ავსტრია, სიტროენი) 16; 10 საინსი — მარტი (ესპანეთი, სიტროენი) 11

ᲙᲝᲜᲡᲢᲠᲣᲥᲢᲝᲠᲗᲐ ᲗᲐᲡᲘ

სიტროენი 160 ქულა, პეჟო 130, ფორდი 93, სუბარუ 89, მიცუბიში 59, შკოდა 15



AFP ᲡᲢᲐᲜᲓᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ

მარკო მელანდრიმ წლეულს პირველი დიდი პრიზი მოიგო

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲩᲔᲛ�პᲘᲝᲜᲐᲢᲘ. XVI ᲔᲢᲐ�პᲘ

ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲠᲘᲖᲘ. *ᲡᲢᲐᲜᲓᲘᲡᲢᲔᲑᲘ— 5340 ᲙᲛ*

ᲛᲝᲢᲝ ᲑᲠᲐᲜ ᲞᲠᲘ — 117.5 ᲙᲛ

1	მარკო მელანდრი (იტალია, მოვისტარ ჰონდა)	41 წთ; 44,1
2	ვალენტინო როსი (იტალია, გალუაზ იამაჰა)	ჩამორჩა 1,5
3	ნიკი ჰეიდენი (აშშ, რეპსოლ ჰონდა)	6,9

ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲩᲐᲗᲕᲚᲐ

1 როსი 351 ქულა; 2 მელანდრი 195; 3 ჰეიდენი 186; 4 კოლინ ედვარდსი (აშშ, გალუაზ იამაჰა) 171; 5 მაქს ბიაჯი (იტალია, რეპსოლ ჰონდა) 163

250 სმ³ — 106.8 ᲙᲛ

1	კეისი სტოუნერი (ავსტრალია, კარერა აპრილია)	39 წთ; 28,2
2	დანიელ პედროსა (ესპანეთი, ტელეფონიკა ჰონდა)	ჩამორჩა 0,1
3	ჰიროსი აოიამა (იაპონია, ტელეფონიკა ჰონდა)	11,6

ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲩᲐᲗᲕᲚᲐ

1 პედროსა 284 ქულა; 2 სტოუნერი 238; 3 ანდრეა დოვიზიოსო (იტალია, სკოტ ჰონდა) 182; 4 აოიამა 170; 5 სებასტიან პორტო (არგენტინა, აპრილია) 152

125 სმ³ — 101.5 ᲙᲛ

1	მაიკ დი მელიო (საფრანგეთი, კოპრონ ჰონდა)	39 წთ; 50,4
2	მატია პასინი (იტალია, ტოტი აპრილია)	ჩამორჩა 0,1
3	ტომოიოში კოიამა (იაპონია, მოტორსპორტ ჰონდა)	0,2

ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲩᲐᲗᲕᲚᲐ

1 ტომას ლუტი (შვეიცარია, ჰონდა) 235; 2 მიკა კალიო (ფინეთი, რედ ბულ KTM) 212; 3 გაბორ ტალმაში (უნგრეთი, რედ ბულ KTM) 178; 4 პასინი 167; 5 მარკო სიმონჩელი (იტალია, ნოსადლე აპრილია) 166

ᲕᲔᲜᲔᲪᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲠᲑᲔᲜᲘ

რა სჯობს ვენეციაში სირბილს, მით უმეტეს, რომ იქაური მარათონის მარშრუტი პიაცა მარკონიდან, ვენეციისპირა პატარა ქალაქ სტრას სასახლიდან იწყება და წყლის ქალაქის საუკეთესო ადგილებსა და 15 ხიდს გადის. ეს მარათონი 20 წელიწადია ტარდება და მასში წლეულს 6000 მორბენალი მონაწილეობდა. გარბენი სან მარკოს მოედნის ახლოში დასრულდა.

AFP ფოტოგრაფიდან

ᲕᲔᲠ ᲛᲘᲘᲚᲝ

ამას ჰქვია, რომ ფართო მიმღებმა [illegible] პასი ვერ მიიღო. კი გაიჭიმა ტენესიელი ბრაიდონ ჯოუნზი, მაგრამ არიზონელმა მცველმა ჯეიმს დარლინგმაც გვარიანად შეუშალა ხელი. თამაში სან დეგოს სტადიონზე იყო, ტემპეში, არიზონში რომ ძევს.



AFP ტემპეიდან

ᲝᲥᲠᲝᲡ ᲒᲖᲐᲖᲔ

ფრანგი ან სოფი მონდიე (მუქ სამოსში) უკვე ევროპის ჩემპიონია ძიუდოში. გზად მან ყველა ჩამოიცილა, მათ შორის კი მთავარი კონკურენტი, რუსი ელენა შეიზე. ოლონდაც, ეს გუნდური ჩემპიონატია და მედლებიც ყველა ფრანგს ერგო.

AFP დეპარდიუნიდან

ᲙᲐᲪᲣᲠ ᲠᲣᲚᲖᲘ

ამ თამაშს რულზი, ანუ „წესები“, ანუ უფრო გასაგებად, ავსტრალიური ბურთაობა ჰქვია. საერთაშორისო მატჩია, ავსტრალია ირლანდიას შებმია პერტის სუბიაკო ოვალზე. თამაშში იპოვით გალურ, ოზურ და კიდევ სხვა თამაშთა წესებს. ავსტრალიამ კი 100-64 მოიგო. ფოტოზე მასპინძელთა მცველი დუკ ჰოჯი სტუმარ ნახევარმცველს შონ კავანაგს აჩერებს.



AFP პერტიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოდის 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავაროქილაძე, ლობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი ღარგუანი, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორაშვილი, ლადო ხიჩერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: ვა ახალაძე, ოთარ ბალაკაძე, ირაკლი პერტია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კვთელაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფუაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge